სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 28 ივლისი 2008 №172 (3396) ფასი 50 თეთრი

ექტორ რაულ კუპერი: მალე!

პასუხი, რომელიც პასუხებს მიღმა იკითხება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა დღეს კი შედგება, მაგრამ... ეროვნული გუნდის მწვრთნელის საკითხი დღევანდელ აღმასკომზე არ განიხილება — ეს, ალბათ, ამ დღეებში მოხდება და ნაკრებს მწვრთნელიც სულ მალე დაენიშნება! დღეს, თბილისში არც არგენტინელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი ჩამოვა. მიზეზი სულ მარტივია: მადრიდიდან თბილისისკენ პირდაპირი რეისი არ არის და რომელი რეისითაც არგენტინელს თბილისში ჩამოსვლა სურს, იმ მარშრუტით თვითმფრინავი ფრენას მხოლოდ 29 ივლისს გამთენიისას ასრულებს...

— შეგვიძლია, რომ ექტორ რაულ კუპერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად უკვე ჩავთვალოთ — *ვკითხეთ წუხელ თავად არგენტინელს...*

— არა.

— გავიგეთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თქვენი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა...

— ვერაფერს გეტყვით...

— ჩვენ ახლა საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელს ვესაუბრებით?

— ვერაფერს გეტყვით.

— თბილისში როდის ჩამოხვალთ?

— მალე.

ცხადია, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელთან, ჩვენი ხანმოკლე საუბარი წუხელ შედგა და ალბათ კუპერის ამ ძუნწი პასუხებიდანაც ჩანს, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელობის უპირველესი კანდიდატიც სწორედ ის არის...

ძოგა ინასარიძე

გორულმა რუმინეთმა ფიზიკა დაგვიწუნა

ზაურ სვანაძე

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა თბილისში რუმინელ თანატოლებს 2:0 რომ სძლია, „სარბიელის" მკითხველს კარგად მოეხსენება.

გლდანურ შეხვედრაში ზაურ სვანაძის შეგირდებმა მეტოქე პირწმინდად დაჩაგრეს.

გუშინწინ კი გორში კიდევ ერთხელ გაეჯიბრნენ ეს გუნდები ერთმანეთს და ამჯერად რუმინელებმა რევანში აიღეს — ქართველები 0:2 დამარცხდნენ.

პირველ მატჩთან შედარებით ჩვენების შემადგენლობაში ძირეული ცვლილებები არ ყოფილა, თუმცა რუმინელები აშკარად უკეთ გაისარჯნენ და იმარჯვეს კიდეც.

ქართველთა შემადგენლობა ასეთი იყო: *ლოსაბერიძე, გეთიაშვილი, შონია, ტეტუნაშვილი, სალარიძე, ხუციძე, თარხნიშვილი, ნემსაძე, კვეკვესკირი, როსტიაშვილი, ხოკერაშვილი.*

შეცვლაზე შევიდნენ: მაკარიძე, იჩქითი, ტყებუჩავა, კანდელაკი, ბეგლარიშვილი, საცერაძე

საქართველოს ნაკრების თავკაცმა ზაურ სვანაძემ ნამატჩევს ასეთი კომენტარი გააკეთა: „რუმინელებმა ფიზიკურად გვაჯობეს. ისინი ბევრად უკეთ არიან მომზადებულნი ფიზიკურად და ეს მატჩმაც დაგვანახა. მათ სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. რამდენიმედღიან ინტერვალში ორი თამაშის ჩატარება ჩვენს ბიჭებს გაუჭირდათ, რადგან სათანადო ფიზიკური მომზადება აკლიათ".

ნუკრი ლოლაძე

დათუნაიშვილი დინაბურგში გოლიანად გამოჩნდა

ლატვიის ჩემპიონატში თამაზ პერტიას გაწვრთნილმა „დინაბურგმა" 3:0 გაანადგურა რიგის „სკონტო" და ამ მატჩში ჩვენთვის საინტერესო ის მოხდა, რომ პირველი გოლი პავლე დათუნაიშვილმა გაიტანა.

დიახ, თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ყოფილმა ფეხბურთელმა ახალ გუნდში დებიუტი ასე აღნიშნა.

დათუნაიშვილი პერტიამ 68-ე წუთზე შეცვალა, იქამდე კი მან ყვითელი ბარათის მიღებაც მოასწრო.

რაც შეეხებათ სკონტოელ ქართველებს — მცველი დავით გამეზარდაშვილი სრულად გაისარჯა, თავდამსხმელი ვლადიმერ დვალიშვილი კი 74-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

ბახა შალამბერიძე

პანას ახალი ბრაზილიელი



კიდევ ერთი ბრაზილიელი შეიძინა თბილისის „დინამოს" საჩემპიონთალიგო მეტოქემ, ათენის „პანათინაიკოსმა". ბერძნებმა „ფლამენგოს" თავდამსხმელი სოუზა 3 მილიონ ევროდ გადაიბირეს.

სოუზა ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია — 74 მატჩში 24 გოლი გაიტანა და ორჯერ უხმეს ბრაზილიის ნაკრებში.

ის უკვე მეოთხე ბრაზილიელია „პანათინაიკოსში" — აქამდე კლუბმა ჟილბერტო სილვა, გაბრიელი და კლეიტონი შეიძინა.

ბახა შალამბერიძე

გაყიდვაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხუთი საშინაო მატჩის აბონემენტები.

დამზადებულია სამი სახის აბონემენტი — 150-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-9 სექტორი) დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

25 და 50-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფები, ხოლო 150-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით — 50 ლარად, შეუძლიათ, შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.



სანამ კუპერი ჩვენთან ჩამოვა...

დღეს-ხვალ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად შეიძლება გამოცხადდეს კაცი, რომელიც 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში, ყველაზე პერსპექტიულ სპეციალისტად ითვლებოდა. მისი გაწვრთნილი „მალიორკაც" და „ვალენსიაც" თითქოს ჯადოსნურ ძალას ფლობდნენ, ისინი სხვა გუნდებისგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობდნენ — მყარი, თითქმის გაუვალი დაცვა; თუ საჭირო იყო, ათი კაცით საკუთარ საჯარიმოში დასახლება; დაუღლელი, სწრაფი ფლანგელი მცველ-ნახევარმცველები; აგრესიული, პრესინგზე მოთამაშე თავდამსხმელები...

„ყველა გუნდი, ვისაც მე ვხელმძღვანელობ, ფავორიტია. და თუ ვაგებთ, არა იმიტომ, რომ ეიფორიას ვეძლევით, არამედ იმიტომ, რომ ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. ტრაბახი არასოდეს მჩვევია, მაგრამ ცუდი მწვრთნელი არ ვარ. არ მეზარება მუშაობა, ღამეები გამითევია ამა თუ იმ თამაშის წინ და ეს უმეტეს შემთხვევაში დამფასებია. თუ არ გაილე, ისე ვერ მიიღებ" — ეს ექტორ რაულ კუპერის სიტყვებია.

52 წლის არგენტინელმა სპეციალისტმა სამწვრთნელო სარბიელზე 1998 წელს გამოანათა, როცა პრიმერადივიზიონში ორი წლის გადასული „მალიორკა" ესპანეთის თასის ფინალში გაიყვანა, სადაც დამატებით დროში ორი კაცი გაუძევეს და მაინც მიიყვანა საქმე პენალტებამდე და იქ დამარცხდა.

სამაგიეროდ, იმავე წელს კუპერმა ესპანეთის სუპერთასზე ორივე მატჩი მოუგო „ბარსელონას" (2:1, 1:0), ბალეარის კუნძულზე მისვლამდე ჭაღარა არგენტინელს სამშობლოშიც მოესწრო წარმატება, როცა მოკრძალებულ „ლანუსს" კონმებოლის თასი მოაგებინა.

1999 წელს „მალიორკამ" ევროპაშიც დაიქუხა, გუნდმა ისტორიაში პირველ საევროტურნირო სეზონში თასების თასის ფინალს უწია (თან „ჩელსი" ჩამოიშორა) და „ლაციოსთან" ბოლო წუთებზეღა წააგო 1:2.

კუპერის „მალიორკაში" გამოჩნდნენ დიეგო ტრისტანი, ალბერტ ლუკე, ხუან კარლოს ვალერონი, დანი, ვისენტე ენგონგა. ამ კაცს თითქოს ჯადოსნური ჯოხი ჰქონდა, უსახელო ფეხბურთელებისგან ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გაეკეთებინა.

და ხომ არ ესადაგება ეს საქართველოს ნაკრებს? იქნებ, იმაზე მეტად ესადაგება, ვიდრე ფოლკერ ფინკე? მგონი, „იქნებ" არცაა საჭირო...

ამაზე კიდევ ვისაუბრებთ, ჩვენ კი 1999-დან მივყვეთ კუპერის გზას. ის „ვალენსიაში" გადავიდა და ჩემპიონთა ლიგაში ფურორი მოახდინა — ორივე ჯგუფური ეტაპი ხომ ერთი ამოსუნქვით გაიარა, მერე „ლაციოს" და „ბარსელონას" თავბედი აწყევლინა, ჯამში საშინაო მატჩებში მათ 9 გოლი გაუტანეს „ღამურებმა" და ფინალში გავიდნენ, მაგრამ „რეალთან" 0:3 წააგეს.

„ლიგას თუ მოვიგებთ, დედიშობილა ვირბენ სტადიონზე" — ამბობდა მაშინ კუპერი.

ბევრს ლაპარაკობენ, კუპერის აზროვნება მხოლოდ დაცვით თამაშზეა გადართული და საქართველოს ნაკრებს ეს არ გამოადგებაო. ჯერ ერთი, რომელი მწვრთნელი იწყებს გუნდის შენებას თავდამსხმელებიდან, მეორეც — ძლიერი დაცვა იმას არ ნიშნავს, რომ თავდასხმა სუსტი გეყოლება და მესამეც — დაცვაში მდგარი გუნდი „ლაციოს" 5:2 და „ბარსელონას" 4:1 მოუგებდა?! ის თამაშები ვისაც ახსოვს, დაგვემოწმება, ანგარიში გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო, რომაელებთან „ღამურებმა" 23-ჯერ (!) დაარტყეს კარში.

ასე რომ, სტილს ნუ ჩავუკირკიტებთ: როცა სიტუაცია მოითხოვდა, კუპერის გუნდი მეტოქის ნახევარს არ სწყდებოდა.

და ერთი საინტერესო დეტალიც: სადაც კი ყოფილა, კუპერი ყოველთვის 4-4-2 სქემით ათამაშებდა გუნდს — იმ დროსაც კი, როცა სუპერთავდამსხმელი არ ჰყავდა.

„რეალთან" წაგებიდან ერთი წლის თავზე დონ ექტორმა კიდევ ერთხელ გაიყვანა „ღამურები" ჩემპიონთა ლიგის ფინალში, თანაც, უკვე აღარ ჰყავდა მძლავრი იარაღი კლაუდიო ლოპესი და თავდამსხმაში ახალგაზრდა იონ კარეუსა და ხუან სანჩესის წყვილს ათამაშებდა.

ჰო, ეს ფინალი ერთ-ერთი ყველაზე ჩახუთული და დაძაბული იყო, „ვალენსიამ" პენალტებში წააგო მიუნხენის „ბაიერნთან", კუპერმა კი თქვა — „ფეხბურთი დაუნდობელია".

ჭაღარა არგენტინელი უტიტულოდ წავიდა „ვალენსიადან", მისმა შემცვლელმა რაფაელ ბენიტესმა, სამ წელიწადში ოთხი ტიტული მოაგებინა „ღამურებს", თუმც ბევრის აზრით, ბენიტესის წარმატების მთავარი მიზეზი დონ ექტორის დანატოვარი აწყობილი გუნდი იყო.

კუპერი წავიდა „ინტერში", რომელსაც ჰყავდა კარგი შემადგენლობა, მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა იტალიის ჩემპიონობას. მარჩელო ლიპიმაც კი ვერაფერი გააწყო „შავ-ლურჯებში". არგენტინელმა კი კარგად დაიწყო, მთელი სეზონი ლიდერობდა და ისევ წააგო ფინალი...

დიახ, იგივე ფინალი იყო „ლაციოსთან" მატჩი ბოლო ტურში, სადაც კუპერის მარცხმა „იუვენტუსი" გახადა ჩემპიონი.

ჩაფიქრებული სახე, სიგარეტის ნერვიულად ბოლვა და ჟესტიკულაციები — ასეთია კუპერი, რომელიც საქართველოს ნაკრებში თუ დაინიშნა, ვეჭვობთ, შუბლზე ნაოჭების რაოდენობა გაეზრდება, მაგრამ ასეთია მწვრთნელის ცხოვრება.

კუპერს არასოდეს გაუწვრთნია ნაკრები და მისთვის საქართველო ერთგვარი გამოწვევაა. არ გვგონია, ის იმ მწვრთნელთა კატეგორიას განეკუთვნებოდეს, რომლებიც ოთხ-ხუთწლიანი წარმატების მერე ძირს ეშვებიან და მეთოდები უძველდებათ.

მაშ, რა მოხდა შარშან „ბეტისში" და წლეულს „პარმაში"? კუპერმა „ბეტისი" ვერ ამოიყვანა პრიმერას აუტსაიდერთა ჯგუფიდან, „პარმაში" კი წლეულს საშველად დაუძახეს, სერია A-დან გავარდნა გვემუქრებაო — კუპერმა ვერ უშველა, თითზე ჩამოსათვლელი ქულები აიღო და ჩემპიონატის დასრულებამდე მოხსნეს.

„სადაც გუნდი იყო დასაყენებელი, კუპერმა ვერაფერი ქნა" — ეს სიტყვები ერთმა ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა გვითხრა, თუმც შევეკამათებით: „მალიორკა" ან თუნდაც „ვალენსია" ყოველ წელიწადს გადიოდნენ ევროთასების ფინალში?

„ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია, ჩემი ცხოვრებაა. როცა რომელიმე ბავშვისთვის საჩუქარი მინდა, ყოველთვის ბურთს ვარჩევ. ბურთზე კარგი სათამაშო ბავშვისთვის არაფერია" — ეს საინტერესო სიტყვები კუპერის ერთ-ერთი ინტერვიუდან ამოვიკითხეთ.

ისე, კუპერი და ჩვენთვის კარგად ნაცნობი კლაუს ტოპმიოლერი ერთ რაღაცაში ძალიან ჰგვანან ერთმანეთს: ბედმა მათ გადამწყვეტი მატჩების წაგება არგუნა...

ილია ნანობაშვილი

ექტორ რაულ კუპერი

დაიბადა 1955 წლის 16 ნოემბერს არგენტინის ქალაქ ჩაბასში

ფეხბურთელის კარიერა

1976-77	ფერო კარილი
1977-78	ინდეპენდიენტე
1978-88	ფერო კარილი
1988-92	ურაკანი
1984-86	არგენტინის ნაკრები (5 მატჩი)

სამწვრთნელო კარიერა

1993-95	ურაკანი
1995-97	ლანუსი
1997-99	მალიორკა
1999-2001	ვალენსია
2001-03	ინტერი
2004-06	მალიორკა
2007	ბეტისი
2008	პარმა



ვიტ ჯორჯიას ზოო-სპარტაკი

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვაკურ ტრნავას „სპარტაკთან“ საპასუხო მატჩის წინ თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ ამხანაგურად დაბალლიგელ „ზოოვეტთან“ წაისპარინგა და 3:1 მოიგო.

ანგარიში ახალწვეულმა თავდამსხმელმა ვახტანგ კვარაცხელიამ მე-20 წუთზე გახსნა, რასაც 17 წუთში მეორეც მიაყოლა. მესამე ბურთი კი მისი შემცვლელის, ვასილ ღუჭაშვილის ანგარიშზეა.

ამ მატჩში არ უთამაშიათ გუნდის კაპიტან ალექსანდრე კვახაძეს და ნახევარმცველ გიორგი დათუნაიშვილს — ორივეს მცირე ტრავმა აწუხებს და ინდივიდუალურად ვარჯიშობენ. თუმცა ვეტერინართა ექიმების თქმით, სლოვაკებთან მოახლოებულ მატჩში ორივე ჯანზე იქნება.

„ზოოვეტთან“ „ვიტ ჯორჯიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბედიაშვილი (მიქაბერიძე 46), ბეჭვაია, ყველაშვილი (ბალიაშვილი 57), დ. ლომაია (ადამაძე 62), ჯაფარიძე, რაზმაძე (მაისაშვილი 57), კვალინიძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (ხურცილავა 52), ვ. კვარაცხელია (ღუჭაშვილი 70), ლიპარტია (ბერიაშვილი 65).*

მიხეილ ჟორჟოლიანი

ტრნავამ და დიორმა წყვილად წააგეს

თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და „ზესტაფონის“ საუეფასთასო მეტოქეებმა, სლოვაკურმა ტრნავას „სპარტაკმა“ და უნგრულმა „დიორ ეტომ“ თავიანთი ჩემპიონატის მატჩები წააგეს.

ტრნაველები სლოვაკეთის ჩემპიონატის მეორე ტურში „დუნაისკა სტრედასთან“ სტუმრად 0:3 განადგურდნენ.

„თეთრმა ანგელოზებმა“ ბოლო 24 წუთში გაუშვეს სამივე გოლი, თუმცა აქედან ორი კაცნაკლულობისას — 75-ე წუთზე მეკარე პაველ ჰრდინა გაუძევეს.

ვიტელთა მეტოქეს უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა: *ჰრდინა, პონჩაკი, დოლეჟაი, ჩიფერსკი, დ. ჰანტელი, დურიში, კოპუნეკი, იელენკოვიჩი, ჰრუშკა (ჰერესი 72), ფილიპოვიჩი (გულდანი 60), კოჟუხი (რუბანსკი 75).*

„დიორმა“ კი უნგრეთის ჩემპიონატის პირველ ტურში „ჰალადაშთან“ სტუმრად 1:2 დამარცხდა. ეს ერთადერთი გოლი 49-ე წუთზე ბიჩაკმა შეაგდო 0:2-ზე.

რაც შეეხება შემადგენლობას: *სტეკანოვიჩი, ბანკი, ჟაკლი, ჟოში, ბოჩაკი, პაკოლიჩი (კოვაჩი 61), ვოლგი, ბაიზატი, სუპიჩი, კოლტაი, შტარკი (ტოკოდი 39).*

ილია ნანოგაშვილი

ამერმა ნორჩებს მოუგო

საკუთარი ინიციატივით პირველ ლიგაში ჩასულმა „ამერმა“ ახალი სეზონის წინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და ასევე პირველლიგელი „ნორჩი დინამო“ 3:1 დაამარცხა.

მატჩი საგურამოში, „ამერის“ ბაზაზე გაიმართა, გოლები კი ნოდარ ქებაძემ (61-ე და 65 წუთებზე) და გიორგი გრძელიძემ (67) გაიტანეს, რასაც დინამოელებმა ბოლო წუთზე დევიძის გატანილით უპასუხეს.

გარდა ამისა, 85-ე წუთზე ამერელმა ბესიკ ჩიმაკაძემ პენალტი გააცუდა.

„ყვითლებმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ლ. ნადირაშვილი, ელბაქიძე, ხატიაშვილი, ჯელაძე, დ. მჭედლიშვილი, ცხოვრებაშვილი, ბენდელიანი, ხელაძე, სანიკიძე, იმერლიშვილი, ჩიმაკაძე.*

შეცვლაზე შევიდნენ: გვენცაძე, თვალავაძე, ხუციძე, კუჭუხიძე, ბოჯგუა, სიჭინავა, ქებაძე, გრძელიძე, ჩოხელი.

ძახა შალამბერიძე

ვასილ გიგიაძე

საუკეთესო გიგიაძე რენს აღარ ეყო...

ინტერტოტოს თასის გათამაშება საბოლოოდ დასრულდა. მომავალში ეს ტურნირი აღარ გაიმართება.

ბოლო ტურნირი კი ქართველთა გუნდებისთვის მაინცდამაინც სახარბიელო ვერ გამოდგა — უეფას თასზე მხოლოდ ერთი მათგანი გავიდა.

გიორგი შაშიაშვილისა და ილია კანდელაკის „შტურმმა“ საშინაო უგოლო ფრის შემდეგ შეძლო და, სტუმრად 2:1 დაამარცხა უნგრული „ჰონვედი“. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ აგებდა.

ავსტრიული გუნდის წარმატებაში ჩვენებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს.

ძალიან დრამატული გამოდგა სიმფეროპოლის „ტავრიასა“ და ფრანგული „რენის“ მატჩი.

71-ე წუთზე ვასილ გიგიაძემ შესანიშნავი თავურით მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა და საქმე დამატებით დროში გადაიყვანა. უგოლო 30 წუთის შემდეგ გუნდებმა 12-12 პენალტი დაარტყეს — საბოლოოდ, 10:9 „რენმა“ იმარჯვა.

გიგიაძემ პენალტიც გაიტანა...

ჰო, „ტავრიას“ ვებგვერდმა ჩვენებური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

შინ 2:1 ჰქონდა მოგებული ბაქოს „ნეფთჩის“, მაგრამ რუმინეთში „ვასლუისთან“ 0:2 წააგო და უეფას თასს დაემშვიდობა. გიორგი ადამიამ სრულად ითამაშა, გიორგი ჭელიძე კი თამაშში 73-ე წუთზე ჩაერთო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ქვემოქართლური 1:1 ზღვისპირეთში

ზღვისპირეთში შეკრებაზე მყოფმა რუსთავის „ოლიმპმა“ და ბოლნისის „სიონმა“ ამხანაგური მატჩი გამართეს — შეხვედრა 1:1 მორჩა.

პირველი ტაიმი უგოლოდ მიილია, მერე კი „ოლიმპი“ გიორგი ონიანის პენალტით დაწინაურდა, თუმც ბოლნისელებმა გათანაბრება მოახერხეს. ეს შოთა ჯიქიამ გააკეთა.

რუსთაველებს მიკროტრავმების გამო მირზა მერლანი, გიორგი სეთურიძე და გიორგი ფეიქრიშვილი ვერ დაეხმარნენ, რაც შეეხება ყოფილ ზესტაფონელ გიორგი ხიდეშელს, მან „ოლიმპი“ დატოვა. გაბონელი ერნესტ აკუასაგა კი სამშობლოდან დაბრუნდა და გუნდს დღეიდან შეუერთდება.

ხვალ რუსთაველები ფოთში ჩავლენ და „კოლხეთთან“ გამართავენ ტესტ-მატჩს, 29 ივლისს კი შეკრებას დაასრულებენ და შინ დაბრუნდებიან.

შეგახსენებთ, საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალურ ეტაპზე „ოლიმპის“ მეტოქე ლაგოდეხის „ჰერეთია“. პირველი მატჩი 1 აგვისტოს რუსთავში შედგება.

გუნდების შემადგენლობები კი ასეთი იყო:

ოლიმპი: სტურუა, მუნდუნგა, მაჭავარიანი, გ. ონიანი, რეხვიაშვილი, დობროვოლსკი, გაბიდაური, ბაბუნაშვილი, გენაძე, მიკუჩაძე (ვ. ჩხეტიანი 46), მეგრელაძე.

სიონი: ბობლიაშვილი, კაკაშვილი, სვანიძე, სილაგაძე, ქემოკლიძე, დიდავა, კოშკაძე, ქურასბედიანი, ა. ალავიძე, ს. დავითაშვილი, შ. ჯიქია.

შეცვლაზე შევიდნენ: სანიკიძე, ი. შენგელია, ჯიქიძე, შავგულიძე.

დღეს „სიონი“ ლანჩხუთის „გურიას“ გაეჯიბრება ამხანაგურად და მერე შინ გამოემგზავრება.

ნუგრი ლოლაძე

შოთა არველაძის ნათლობა ალკმაარის მწვრთნელად



შოთა არველაძეს B ლიცენზია უკვე აქვს, თუმცა A ლიცენზიის აღებამდე მატჩებისას სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლება არ აქვს.

ეს შეეხება ოფიციალურ შეხვედრებს, თორემ ამხანაგურ მატჩში, რომელიც გუშინ ჰოლანდიურ „ალკმაარს“ ჰქონდა, ჩვენიანი გუნდის თავკაც ლუის ვან გაალს უმშვენებდა გვერდს.

AZ-მა 12:0 გაანადგურა ჰოლანდიის ქვედადივიზიონელი „ლოპსტელინგი“.

ასე ვთქვათ, შოთას მინი-დებიუტიც უკვე შედგა.

ილია ნანოგაშვილი

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

29 ივლისს, 17.30 საათზე „მიხეილ მესხის“ საპრესკონფერენციო დარბაზში თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ გადაეცემა საქართველოს გასულ ჩემპიონატში მოპოვებული ვერცხლის მედლები.

იქვე დარიგდება „ვიტ ჯორჯია“ — „სპარტაკის“ საუეფასთასო მატჩის აკრედიტაციები.

„ვიტ ჯორჯიას“ პრესსამსახური

ფეხბურთი

თბილისი. მიხეილ მესხი

უეფას თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩი

31 ივლისი

ვიტ ჯორჯია — სპარტაკი

საქართველო სლოვაკეთი

დასაწყისი 17.30 საათზე, ბილეთის ფასი 2 ლარი

ყენია არ ჩანს, კობი მსურველთან აგებს

„შალკემ“ ამხანაგური მატჩი წააგო სტამბოლის „ბეშიქთაშთან“, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ ლევან კობიაშვილის შეძენას ცდილობდა.

„კობიმ“ 70 წუთი ითამაშა მსურველი კლუბის წინააღმდეგ. მარცხენა მცველი გახლდათ და თავი ბევრით არაფრით გამოუჩენია. მინდორზე მისი ყოფნისას შალკელები 0:2 აგებდნენ და ლევანის შეცვლიდან ორ წუთში შეამცირეს სხვაობა. ეს იყო და ეს.

ლევან ყენიას კი ამ შეხვედრაში არ უთამაშია — მას გრიპი ჰქონდა და ჩანს, ჯერ ვერაა ჯანზე.

ოთარ ხიზანეიშვილის „აუგსბურგმა“ კი მიჯრით ორი ტესტ-მატჩი გამართა: ბრაზილიურ „კურიტიბას“ მეორე გუნდთან 2:0 მოიგო, „ობერჰაუზენთან“ კი 0:3 დათმო.

ქართველმა მცველმა ორივეჯერ მეორე ტაიმი გაატარა მინდორზე.

ლევან კობიაშვილი (მარცხნივ) „ბეშიქთაშთან“ მატჩში

ილია ნანოგაშვილი

ხიზანიშვილი დაბრუნდა

ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა“ ორი ამხანაგური მატჩი გამართა პორტუგალიურ კლუბებთან — 3:2 მოუგო „ბენფიკას“ და 1:2 წააგო „სპორტინგთან“.

პირველ მატჩში ხიზანიშვილი მოედანზე არ გამოჩენილა, „სპორტინგთან“ კი ახალგამოჯანმრთელებულმა ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა.

„ბლექბერნი“ მომდევნო ამხანაგურ მატჩს 2 აგვისტოს „ვულვერჰემპტონთან“ ჩაატარებს.

კახა შალამბერიძე

ზოგი დარბის, ზოგი ზის, ზოგი არ ჩანს

რუსეთის პრემიერლიგაში მორიგი ტური გაიმართა და ქართველებიც შეძლებისდაგვარად გამოჩნდნენ.

„რუბინი“ შინ 0:0 ეთამაშა ცსკა-ს და მოედანზე მხოლოდ ლაშა სალუქვაძე გამოჩნდა, რომელმაც სრულად იბურთავა.

დავით კვირკველია სათადარიგოთა სკამზე დარჩა, ნუკრი რევიშვილი კი განაცხადშიც ვერ მოხვდა.

სამივე ქართველი — ალექსანდრე ამისულაშვილი, გოგიტა გოგუა და დავით სირაძე — „ნალჩიკის“ სასტარტოში იყო. მათგან მხოლოდ სირაძე შეცვალეს 57-ე წუთზე. ყაბარდოელებმა კი სტუმრად 0:2 წააგეს „ხიმკისთან“.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ 3:0 მოუგო „მოსკვას“. მალხაზ ასათიანი სათადარიგო იყო, დავით მუჯირი კი განაცხადში ვერ მოხვდა.

და ერთიც: ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგიამ“ სტუმრად 0:3 წააგო მოსკოვის „სპარტაკთან“.

ქართველ ფეხბურთელს არ უთამაშია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მუჯირის პრეს-პრესი



დავით მუჯირს კრიტიკოსები მოუმრავლდა და გულშემატკივართა გარდა, უკვე ჟურნალისტებმაც გაჰკრეს კბილი: „ნუთუ „ლოკომოტივის“ სელექციონერებს იმედი ჰქონდათ, რომ მუჯირი ახალი ლოსკოვი გახდებოდა?! ის ხომ სტაბილურად მაღალ დონეზე „კრილია სოვეტოვშიც“ ვერ თამაშობდა. მათი იმედები თავიდანვე არაერალური ჩანდა. მოედანზე გატარებული არცთუ დიდი დროის განმავლობაში მუჯირი სახეიროს ვერაფერს ქმნის და მეტ დროს უქმობაში ატარებს“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

აშვეთიას დუბლს ბარაბაძემ მიუმატა

რუსეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში მახაჩყალის „ანჟიმ“ ქართულად მოიგო — დაღესტნელებმა შინ 3:0 სძლიეს ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს“ და სამივე გოლი ქართული გამოდგა.

მიხეილ აშვეთიამ 22-ე წუთზე შეაგდო პირველი, 29-ე წუთზე კი პენალტით იხეირა. მას უკვე 10 ბურთი მოუგროვდა და დივიზიონის ბომბარდირს ორითოლა ჩამორჩება.

აშვეთია 75-ე წუთზე რევაზ ბარაბაძემ შეცვალა და ღირსეულადაც — ხუთ წუთში თავად იხეირა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე.

დანარჩენ ქართველთაგან მხოლოდ გორა ხოჯავას არ უთამაშია. ვალერი აბრამიძე, გიორგი ნავალოვსკი და ზურაბ არზიანი ბოლომდე იყვნენ მოედანზე, რევაზ ჯიქია კი 52-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში.

„ანჟი“ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და პრემიერლიგაში გადასვლის შანსს ინარჩუნებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კვარაცხელია შეცვლაზე გამოჩნდა

ბელარუსის ჩემპიონატის მე-16 ტურში გივი კვარაცხელიას „მტზ-რიპო“ ბრესტის „დინამოს“ ესტუმრა და 2:0 მოუგო.

მინსკელთაგან გოლები კამარამ (56-ე წუთზე) და ბორდაჩევმა (76) გაიტანეს, ქართველი ნახევარმცველი კი თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო.

„მტზ-რიპოს“ 32 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა.

კახა შალამბერიძე

იაშვილის ტესტ-კამპანია

ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუე“ ფრანგულ „სტრასბურთან“ ამხანაგურ მატჩში 0:1 დამარცხდა.

ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა.

„კარლსრუე“ ხვალ „ფრაიბურგს“ დაუპირისპირდება, 2 აგვისტოს კი ფრანგულ „სოშოს“ გაეჯიბრება.

კახა შალამბერიძე

ლომიძე ფრეს გამორჩა

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში მამუკა ლომიძის კიშინიოვის „ზიმბრუმ“ საკუთარ მოედანზე „ტირასპოლს“ ვერაფერი მოუხერხა — 1:1.

ლომიძემ შეუცვლელად ითამაშა.

5 ტურის შემდეგ 11-გუნდა ჩემპიონატში „ზიმბრუ“ მე-3 ადგილზეა.

კახა შალამბერიძე

ლაშა ჭელიძემ ლიდერი წააქცია

ყაზახური პრემიერლიგის მე-18 ტურში, „ქაისარის“ ქართველმა მცველმა ლაშა ჭელიძემ ლიდერ კოშტანაის „ტობოლთან“ საშინაო მატჩში, გადამწყვეტი გოლი გაიტანა და თავის გუნდს 3:2 მოაგებინა.

ჭელიძე გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო, გოლი კი 83-ე წუთზე შეაგდო.

18 ტურის მერე „ქაისარი“ მე-4 ადგილზეა.

კახა შალამბერიძე

ჩეხი ქართველები კვიპროსელებთან

დიმიტრი ტატანაშვილი

ჩეხეთში მოთამაშე ქართველმა ლეგიონერებმა მორიგი ტესტ-მატჩები ითამაშეს.

დიმიტრი ტატანაშვილმა პირველი ტაიმი იბურთავა „პლზენისა“ და კვიპროსული ალკი-ს შეხვედრაში, რომელიც ჩეხებმა 2:1 მოიგეს. „ტატანას“ მე-9 წუთზე ჰქონდა მომენტი, თუმცა მეკარემ არ გაატანინა.

გიორგი განუგრავას „ბოლესლავიც“ კვიპროსულ კლუბს შეხვდა — 0:0 „ლარნაკასთან“.

„განუმ“ ბოლო 14 წუთი ითამაშა.

ილია ნანოგაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებთ, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.
2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.
3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?
4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?
5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?
6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?
7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?
8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?
9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?
10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲘᲯᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲡ ᲣᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔ

ქართველი ოლიმპიელების პირველი დელეგაცია პეკინში 30 ივლისს გაემგზავრება. მათ შორის ჩვენი მშვილდოსნები ხათუნა ნარიმანიძე და ქრისტინე ესებუაც იქნებიან, ვისთვისაც წლევანდელი სეზონი შედეგიანი გამოდგა: ნარიმანიძეც და ესებუაც საერთაშორისო ტურნირებზე სტაბილურად გამოდიოდნენ და ოლიმპიადასაც სასურველ ფორმაში ხვდებიან. გუშინ ხათუნა ნარიმანიძეს ვესაუბრეთ, რომლისთვისაც ეს მესამე ოლიმპიადაა, უკვე საკმაო გამოცდილება აქვს და შედეგის გაუმჯობესებასაც ფიქრობს...

— ოლიმპიადის ლიცენზია გერმანიის ქალაქ ლაიფციგში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვიპოვე მას შემდეგ, რაც 128 მშვილდოსანს შორის მე-5 ადგილი დავიკავე. სულ კი პეკინის საგზურს 34 სპორტსმენი იღებდა. ეს წარმატება მნიშვნელოვანი იყო როგორც ჩემთვის, ისე საქართველოსთვის, რადგან კორეული კომპანია „ვინი ვინი“ დაინტერესდა ჩვენი გამოსვლით და მშვილდებიც გადმოგვცა. არადა, გერმანიაში პირადად მე 6 წლის მშვილდით ვისროლე. ამერიკელებმა ეს რომ გაიგეს, გაოცდნენ, რადგან ერთი წლის შემდეგ მშვილდი დარტყმის სიძლიერეს კარგავს და გამოსაცვლელია.

ამის მერე მთლიანად ოლიმპიადის სამზადისზე გადავედი. არც ერთი საერთაშორისო ტურნირი არ გამომიტოვებია და, რაც მთავარია, სტაბილური შედეგი მქონდა. ორი ბედალიც ავიღე — აზიის ღია ჩემპიონატში მე-3 ადგილი დავიკავე და საფრანგეთის გრან პრიზე იგივე შედეგი ვაჩვენე.

— 30 ივლისს უკვე პეკინში მიდიხართ როგორ ფორმაში ხვდებით ოლიმპიადას?

— ვფიქრობ, რომ ნორმალურ ფორმაში ვარ. ის, რომ არც ერთი საერთაშორისო ტურნირი არ ჩამიგდია და სულ კარგი შედეგები მქონდა, ძალიან წამადგება, რადგან ფსიქოლოგიურად გავძლიერდი. ეს ისეთი სპეციფიკური სპორტის სახეობისვთის, როგორც მშვილდია, უმნიშვნელოვანეს ნიუანსს წარმოადგენს.

ეს ოლიმპიადა ჩემთვის მესამე იქნება და ძველებურად აღარ ვინერვიულებ. უკვე საკმაოდ გამოცდილი ვარ და მინდა, შედეგიც გავაუმჯობესო.

— ახლა უფრო რთული იქნება სასურველი შედეგის მიღწევა, ვიდრე ათენში?

— ისევე როგორც მე, კონკურენტებიც გაძლიერდნენ. 64 მშვილდოსნიდან ყველა ძალიან ძლიერია. შეიძლება ითქვას, რომ საერთო დონე თანაბარია, უბრალოდ, ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვინ როგორ ფორმაში შეხვდება ოლიმპიადას. ნერვების ომში უნდა გაიმარჯვო.

სროლის დროს მაქსიმალური კონცენტრირებაა საჭირო, შეიძლება, ელემენტარულმა ხმაურმა გაგიფანტოს გონება და ეს დამღუპველი გამოდგეს.

როგორც იცით, 30 ივლისს მივდივართ და პირველი სროლა 3 აგვისტოს მიწევს 70-70 მეტრიდან. ძნელია შენელოვანია ის ფაქტი, რომ წელს იმ დარბაზში, სადაც სროლა მოგიწევს, უკვე გამოცადე თავი. ამიტომ ადაპტაცია არ გამიჭირდება. შეგუებული ვარ იქაურ გარემოს.

— მაინც ვის თვლით ძირითად კონკურენტებად, ან უხერხულ მეტოქედ თუ თვლით ვინმეს?

— ყველა ძლიერი იქნება, როგორც ვთქვი, მაგრამ ჩემთვის უხერხული მეტოქეები მაინც კორეელები არიან მათთან მუდმივად მიჭირს.

— რატომ ხდება ასე, ბევრჯერ დამარცხდით კორეელ სპორტსმენებთან?

— როგორ გითხრათ, ასე ხდება ალბათ, იმიტომ რომ მაგათი მშვილდოსნები მუდმივად კარგ შედეგებს იღებენ, სულ სამეულში არიან. კი მომიგია კორეელისთვის, მაგრამ წნეხის ქვეშ მიწევს ხოლმე ყოფნა.

— ზემოთ გვითხარით, მშვილდი შევიცვალეო, კმაყოფილი ხართ ახალი იარაღით?

— პეკინში ამერიკული ფირმის „ჰოიტის“ მშვილდით ვისვრი. მიჩვეული ვარ და არანაირი პრობლემა არ არის. სპორტის დეპარტამენტმაც შეგვიძინა მშვილდები და ძალიან მადლობლები ვართ. ეს სპორტი საერთოდ ძვირი სიამოვნებაა. ერთი მშვილდი ყველა დეტალით 3 000 ევრო ღირს.

— რა იქება თქვენი პროგრამა-მინიმუმი პეკინში?

— მინდა, რომ მეოთხედფინალში გავიდე. ეს ჩემთვის დიდი წარმატება იქნება და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

ლექსო მაისურაძე

ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲓᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲙᲐᲠ�გᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ სპორტსმენი მხედარი, ცხენის გაწვრთნაში ყოფილი სსრკ-ის 1978 წლის ჩემპიონი ავთანდილ (მურმან) კიკიანი წელს 75-ის შესრულდებოდა. არადა, გუშინ დელისის იპოდრომის საკონკურო მოედანზე უკვე მეცხრედ გაიმართა მისი ხსოვნის თასის ასპარეზობა დაბრკოლებათა გადალახვაში (ჯერჯერობით კლასიკური ცხენოსნობიდან მხოლოდ ეს დარგი ფეთქავს საქართველოში).

უშუალოდ კიკიანის მემორიალს, შაბათს, წინ უძღოდა I კონკური, რომელიც ძირითადი ცხენით მოიგო შალვა გაჩეჩილაძემ („ეკლერი“), ახალგაზრდით — ვანო ნორაკიძემ („ეროსი“). რადგანაც ძირითადი ცხენებით მხოლოდ 3 მონაწილე გამოდიოდა, გარდამავალი პრიზი ერთიანი შემადგენლობით გათამაშდა (10 დაბრკოლება, 11 ნახტომი, სიმაღლე 120 სმ). ამ გადაწყვეტილებამ საკვლევით გაამართლა: 13 მონაწილიდან მხოლოდ ერთი მოიხსნა, ყველაზე მეტი საჯარიმო ქულაც (-12) ჭაბუკ მონაწილეს — ცოტნე თავაძეს ჰქონდა („სულგრძელი“). ოთხმა კი უჯარიმოდ გაიარა მარშრუტი და ყოველი მათგანის გამოსვლა ცხენ-მხედრების კარგ მომზადებას მოწმობდა. აი, ეს ოთხეულიც: გიორგი სამხარაძე („ელპერილი“), ვანო ნორაკიძე („ეროსი“), გაგა თოხაძე („ასპარეზი“), შალვა გაჩეჩილაძე („ეკლერი“).

დამატებით ხტომებში (130 სმ) ნორაკიძემ ერთხელაც დაამტკიცა, რომ „ეროსით“ მას ძალუძს სერიოზულ საკონკურო ბრძოლაში ჩაბმა, ამ ჰიტში სუფთად მარტო მან იარა და ავთანდილ კიკიანის პრიზს ამჯერადაც ღირსეული ახალგაზრდა მხედარი დაეუფლა. ისიც უნდა ითქვას, რომ 2000 წლის შემდეგ, როდესაც ეს ჯილდო პირველად ავთანდილის ვაუმა, საქართველოს ერთ-ერთმა უძლიერესმა კონკურისტმა, კახაბერ კიკიანმა მოიგო, ტურნირში ახალგაზრდა მხედრები იმარჯვებდნენ და ყოველი მათგანი სასიკეთო ნიშნად მიიჩნევდა ამ წარმატებას. ნორაკიძეს ჯერ არ მოეგო ეს ასპარეზობა და, ალბათ, მის მომავალ მხედრულ გზასაც გაჰყვება ეს რწმენა.

წელს კიდევ ერთი სიახლე შეემატა ამ ტურეირს: ავთანდილ კიკიანი აქტიურად მონაწილეობდა ვეძისის უბნის სახალხო ზეიმის „ვეძისობის“ მხედრული ნაწილის შემუშავებაში. ვეძისში, სწორედ ამ უბნის მიდამოების შუაგულში, დაფუძნებულმა წმიდა გიორგის მონასტერმა ტურნირის უმრწემეს (ყველაზე უმცროს) მონაწილეს მოუგზავნა მინანქრის გულსაკიდი. ასეთი ამჯერად აღმოჩნდა 16 წლის გაგა თოხაძე, რომელიც ამ ორდღიან ასპარეზობაზე ახალგაზრდა ცხენითაც („სატურნი“) გამოდიოდა და მისთვის წარმატებულ წლევანდელ მხედრულ სეზონში ამჯერადაც დაამტკიცა, რომ ამ საპატიო ჯილდოს ღირსი შემთხვევითობის გამო არ გამხდარა.

ნოდარ ებრალიძე

გაგა თოხაძე და მისი „სატურნი“



ᲕᲐᲜᲝ ᲜᲝᲠᲐᲙᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ „ᲔᲠᲝᲡᲘ“ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

ვანო ნორაკიძე და ბედაური „ეროსი“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის ამჟამად მოქმედი წესდების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს თავიანთი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, ოლიმპიურ აკადემიას, სეოკ-ის მიერ აღიარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს, აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში როგორც სპორტული კარიერის, ასევე მისი დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურების მქონე ცალკეულ ფიზიკურ პირებს.

სათანადოდ გაფორმებული განცხადება სეოკ-ის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის შესახებ იგზავნება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მაინც, ანუ არაუგვიანეს 2008 წლის 31 აგვისტომდე.

ფრენბურთელებს პეკინი დაუზუსტეს საქართველოს წილი უყარეს

შაბათს შვეიცარიის ქალაქ გშტაადში პლაჟის ფრენბურთის კენჭისყრა გაიმართა და პეკინის ოლიმპიადის მონაწილე წყვილები ჯგუფებში გადაანაწილა.

ჩვენი ყურადღება, ბუნებრივია, გეორ-გიას და საქა და რთველოსკენ იყო მიპყრობილი. მით უფრო, კენჭისყრამდე ითქვა, ოლიმპიადაზე კარგად გამოსვლა, დიდწილად, სასურველ ბადეზე იქნება დამოკიდებულიო. ანუ მნიშვნელოვანი იყო, ბრაზილიელი ქართველები სიკვდილის ჯგუფში არ მოხვედრილიყვნენ. ეს უფრო ბიჭებზე ითქმის, რადგან ამჯერად სწორედ გეორ და გიაზე კეთდება მთავარი აქცენტი, იმის გამო, რომ დღეანდელი რეალობის გათვალისწინებით, გოგნებისთვის მომდევნო ეტაპზე გასვლა საძნელო საქმე იქნება.

ჰოდა, ახლა თანმიმდევრობით მივყვეთ: გეორ და გია C-ჯგუფში მოხვდნენ და კაცს სიტუაციის შეფასებისას ორმაგი გრძნობა დაეუფლება. ჩვენებთან მსოფლიოში უძლიერესი წყვილი, ათენის ოლიმპიადის ჩემპიონები, ბრაზილიელი რიკარდო და ემანუელი ითამაშებენ ვისთან ერთადაც ვარჯიშობენ კიდეც. თქმა არ უნდა ჯგუფში ერთი ადგილი მათი იქნება, მეორე გამსვლელ ადგილზე კი ჭიდილი ავსტრალიელ შახტთან და სლაკთან მოუწევთ და დიდი მარჩიელობა არაა საჭირო იმის გასარკვევად, რომ ავსტრალიელებს სერიოზული წყვილი ეყოლებათ.

ზემოთ ვთქვით, ჯგუფის შეფასებისას ორმაგი გრძნობა დაგვეუფლებაო და ასეცაა — ერთი მხრივ, თუ ოლიმპიური ჩემპიონები და კენჭისყრის დროს მე-3 ნომრად განთესილი ბრაზილიელები გადაგვეყარნენ, აქვე ანგოლელი ფერნანდესი-მორიასის წყვილი გვყავს, ვინც ყველაზე სუსტად მოიაზრება, ამათ საპეკინო საგზური ბოლოსღა მოიპოვეს. სხვათა შორის, კენჭისყრაზე გამგზავრების წინ ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა ანგოლის წყვილი ისურვა და მიიღო კიდეც.

გათამაშების პრინციპი პეკინში ასეთი იქნება: 6 ოთხგუნდა ჯგუფიდან ორ-ორი უკეთესი წყვილი პირდაირ მეთექვსმეტედფინალში გავა. ამ 12 ნაკრებს ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი დაემატება, ხოლო კიდევ ორ ადგილს დანარჩენი 4 მესამეადგილოსანი წრიული სისტემით გაარკვევს. ყველა ყველას შეხვდება და ორ ნაკრებს წინ გაუშვებს.

იგივე პრინციპი იქნება გოგონებში და ისიც ეთქვათ, რომ C ჯგუფში საქა და რთველოს ასევე ბრაზილიური წყვილი, თან მე-3 ნომრად განთესილი, ჟულიანი და ლარისა შეხვდებიან. ბრაზილიელების მსგავსად, ვერც ავსტრალიელებს ავცდით — ბარნეტა და ქოკის დუეტის გარდა, რუსული ურიადოვა-შირიაევას ტანდემიც დაგვიპირისპირდება.

ლეონიდ მაისურაძე

ქალები	კაცები
A ჯგუფი	**A ჯგუფი**
ტიან ჯია-ვონგი (ჩინეთი)	ხუ-ვუე (ჩინეთი)
მასვიდე-მლასნესი (ნორვეგია)	ჰერერა-მესა (ესპანეთი)
ვან ბრეედამი-მაუჭა (ბელგია)	კაისი-ვესიკი (ესტონეთი)
მონტანოლი-სვობოდა (ავსტრია)	გოში-ჰორსტი (ავსტრია)
B ჯგუფი	**B ჯგუფი**
ვოლშ-მეი-ტიაენორი (აშშ)	როჯერსი-დალჰაუზერი (აშშ)
ჰაკედალი-ტორლენი (ნორვეგია)	ჰეიერო-ჰუშერი (შვეიცარია)
გრასეტი-ლერეა ჰერაზა (კუბა)	კონდე-ბარასეიკი (არგენტინა)
ტერი საიკი-კუშეჰარა (იაპონია)	სამოლოვსი-პლავინსი (ლატვია)
C ჯგუფი	**C ჯგუფი**
ჯულიანა-ლარისა (ბრაზილია)	რიკარდო-ემანუელი (ბრაზილია)
ბარნეტი-ჯოჯი (ავსტრალია)	შახტი-სლაკი (ავსტრალია)
ურიადოვა-შირიაევა (რუსეთი)	გეორ-გია (საქართველო)
საქართველო (საქართველო)	ფერნანდესი-მორაისი (ანგოლა)
D ჯგუფი	**D ჯგუფი**
ხუი-ჩანგხი (ჩინეთი)	არავეო-ფაბიო ლუიზი (ბრაზილია)
გოლესი-ლუდვიგი (გერმანია)	ბარსოუკი-კოლოდინსკი (რუსეთი)
კუტრინიდიკარეინი (საბერძნეთი)	დოპლერი-მერტმეიერი (ავსტრია)
აუგუსტიდე-ნელი (ს. აფრიკა)	ლაიონი-ამორი (იტალია)
E ჯგუფი	**E ჯგუფი**
ბრაგი-იანგსი (აშშ)	ნუმერდორი-შუილი (ჰოლანდია)
ბოჰი-რაუ (გერმანია)	კლემპერსი-კორენგი (გერმანია)
ესტევესი-კრესპო (კუბა)	კემპერუდი-სკარლუნდი (ნორვეგია)
კადიკი-მოორენი (ჰოლანდია)	ლატიგა-შნაიდერი (შვეიცარია)
F ჯგუფი	**F ჯგუფი**
ტალიტა-რენატა (ბრაზილია)	ბრინკი-დიეკმანი (გერმანია)
კარანტასი-არვანიტი (საბერძნეთი)	გიბი-როზენტალი (აშშ)
შვაიგერი-შვაიგერი (ავსტრია)	ბოერსმა-რონნესი (ჰოლანდია)
კანდელასი-გარსია (მექსიკა)	ასაპი-შირატორი (იაპონია)

დადებითი გორგაძე

ნაგოიას ბაშო ისე დასრულდა, რომ 23 წლის მონღოლ იოკოძუნა ჰაკუხოს ვერავინ მოერია. ბაშოს ბოლო შერკინებაში ჰაკუხომ ოძეკი კოტოოსიუ უვატენაგეთი დასცა და თავისი მე-6 ჩემპიონობა ოფიციალურად გაიფორმა.

ჰაკუხომ პროფესიულ სუმოში გამოსვლა 2001 წელს დაიწყო. ადრე იგი თავისუფალი სტილით მოჭიდავე იყო და მეხიკოს ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალიც აუღია. „თეთრ ფენიქსად" წოდებული იოკოძუნა მონღოლური ნაციონალური ჭიდაობის არაერთგზის ჩემპიონია. რაც შეეხება მის მიერ გავლილ გზას სუმოში: ჰაკუხომ 496 პროფესიული ორთაბრძოლიდან 361-ში იმარჯვა. უმალეს მაკუჩი დივიზიონში 354 ბრძოლიდან 267 მოუგია. ისიც სათქმელია, რომ „თეთრი ფენიქსის" მთავარი კონკურენტი, მეორე იოკოძუნა ასასორიუ ივლისის ბაშოს მე-6 დღის შემდეგ ტრავმის გამო გამოეთიშა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჰაკუხოს ბრწყინვალე გამარჯვებას ეს სულაც არ აკნინებს.



ლევან გორგაძე

უმაღლეს მაკუჩი დივიზიონში პირველი დადებითი ბალანსი იზეიმა ტოჩინოშინად წოდებულმა ქართველმა ლევან გორგაძემ. მან შაბათის ორთაბრძოლაში იორიკირი აწვნია დასავლეთის მე-6 მაეგაშირა ტოკიტენკუს, რითაც ბაშოზე მე-8 გამარჯვება მოინაგრა. დასავლეთის მე-16 მაეგაშირას სტატუსით მოჭიდავე ტოჩინოშინმა კვირის შეხვედრაში იორიტაოსით წააგო აღმოსავლეთის მე-3 მაეგაშირა ფუტენოსთან. 20 წლის ქართველის პროფესიული ბრძოლების რაოდენობა 114-ს მოითვლის. აქედან გორგაძემ 82-ში იმარჯვა.

კოკაით წოდებული ლევან ცაგურია კი აგრძელებს დაღმასვლას სუმოს იერარქიაში. „შავმა ზღვამ" ივლისის ბაშოზე მხოლოდ ხუთ გამარჯვებას მიაღწია. შაბათის შერკინებაში კოკაიმ, რომელიც დასავლეთის მე-10 მაეგაშირად ითვლებოდა, ბაშოზე წააგო დასავლეთის მე-9 მაეგაშირა იბაკიამასთან. კვირის შეხვედრაში კი ჩვენებურმა დასავლეთის მე-12 მაეგაშირა კიმურაიამას მოუგო.

გეტყვით იმასაც, რომ კოკაი პირველი ევროპელი იყო, რომელმაც უმაღლეს დივიზიონში ჭიდაობის უფლება მოიპოვა. მას 542 ბრძოლა ჩაუტარებია და აქედან 297-ში გამარჯვებული გამოსულა. უმაღლესში ცაგურიამ 405-დან 200 შეხვედრა მოიგო.

ზურაბ მიბრიაული

ქართველების ორი მარცხი

უნგრეთი 63:73 საქართველო
საქართველო 75:91 დანია

უნგრულ დებრეცენში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში საქართველოს 18-წლამდელთა კალათბურთელთა ნაკრებმა პირველი თამაში ჩაატარა და მასპინძელთა ნაკრებს 73:63 მოუგო.

ჩვენებიდან თორნიკე შენგელიამ იყოჩაღა, ვინაც 20 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა და ორმაგ დუბლს გამოჰკრა ხელი.

ამ ჯგუფის მეორე თამაშში კი დანიელებმა ფინეთის ნაკრებს 65:55 მოუგეს. როგორც იცით მიხეილ კობეშავიძის გუნდის ამოცანა ამ ეტაპზე B დივიზიონიდან A-ში ანაცვლებაა.

გუშინ კი საქართველოს ნაკრებმა ჯგუფის მეორე მატჩი დანიასთან წააგო.

ჩახნაშვილმა წყვილად წააგო

ლუძსემბურგის ქალაქ პეტანჟში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში ქართველი მაკა ჩახნაშვილისა და ესტონელი მარგიტ რუუტელის ტანდემმა ფრანგი ფიორეზისა და თურქი სენოღლუს წყვილთან წააგო ორ სეტში — 1:6, 3:6.

იქვე ერთეულთა შეჯიბრებაში ჩახნაშვილი ძირითად ბადეში იყო, მაგრამ პირველივე შეხვედრა დათმო და ჩოგნაობას გამოეთიშა.

პეტანჟის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი აშშ დოლარია.

მარაიმ თბილისი გაიორძაგა

თბილისი. კოკა-კოლას თასი. კაცები საპრიზო 15 000 დოლარი

ფინალი

მატეო მარაი (1, იტალია) — შარლ როშე (7, საფრანგეთი) 6:3 6:4

ლეილა მესხის სახელობის კორტებზე ITF-ის ეგიდით გამართულ „კოკა-კოლას თასზე" იტალიელმა მატეო მარაიმ გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ იტალიელმა მეჩოგნემ თბილისში მიჯრით მეორე ტურნირი მოიგო. მან ამჯერად ფინალში მე-7 ნომრად განთესილი ფრანგი შარლ როშე დაამარცხა და 1950 აშშ დოლარის მფლობელი გახდა. მარაიმ ფრანგის მორევას ორი სეტი მოანდომა. როშემ ორივე სეტში ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, არადა, მარაი მთელი ტურნირის განმავლობაში წუწუნებდა, თბილისურ თიხნარს ვერა და ვერ შეეჩვიეო.

რაც შეეხება როშეს, გეტყვით, რომ ფრანგმა მე-2 ადგილისთვის განკუთვნილ პრიზთან ერთად, 1350 აშშ დოლარიც მიიღო. შეჯიბრებაში ქართველი ჩოგბურთელებიდან ლაზარე კუხალაშვილმა უწია მეთხუთმეტფინალს და იქ დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან. ნოდარ ითონიშვილმა, ნიკოლოზ ქურდაძემ, გიორგი ხრიკაძემ და ბექა ბუჩუკურმა ადრეულად, სხვადასხვა ეტაპებზე, შეწყვიტეს ბრძოლა.

ზურაბ მიბრიაული

ძვირფასო ოლიმპიელებო!

სულ რაღაც 10 დღეში თქვენ მიიღებთ მონაწილეობას პეკინის 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში. არაფერი არ შეედრება იმ გრძნობას, რასაც მსოფლიო მასშტაბის სპორტულ ფორმუზე საკუთარი სამშობლოს წარდგენა ჰქვია.

სულით და გულით მინდა გისურვოთ წარმატებები, გამარჯვებით გამოწვეული სიხარული და გამართლება. დამერწმუნებით, რომ თუ ოლიმპიურ მედალს ვერ მოიპოვებთ, მაინც იამაყებთ, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდით.

ვწუხვარ, რომ ჯანმრთელობის გამო ვერ ვახერხებ დავესწრო ოლიმპიურ თამაშებს პეკინში, მაგრამ გულით, ფიქრებით და საუკეთესო სურვილებით მუდამ თქვენს გვერდით ვიქნები.

კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებებს!

საუკეთესო სურვილებით
ვიქტორ სანეევი

გია ნაცვლიშვილი ოფიციალურია

სეოკ-ს პირველი კანდიდატურა გამოუჩნდა

გადრე. ჯაბილაძის ფოტო

რაც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტში ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო ბადრი პატარკაციშვილს იმპიჩმენტი მოუწყვეს, მას შემდეგ სეოკ-ს დროებით გოგი თოფაძე თავკაცობს.

ოქტომბერში კი საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს ახალი პრეზიდენტი ეყოლება. გამორიცხული არაფერია, მაგრამ პეკინის ოლიმპიადის წინა საანგარიშო აღმასკომზე გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ სეოკ-ის პრეზიდენტობაზე კანდიდატურას არ წარადგენს. კულუარულად კი სეოკ-ის თავკაცობა ახლანდელ ვიცე-პრეზიდენტს ლერი ხაბელოვს სურს, რომელიც უკვე გაემგზავრა ჩინეთში, პეკინში კი დღეს ჩავა და მასთან დაკავშირება ამიტომ ვერ მოხერხდა.

გუშინ კი გავიგეთ, რომ სეოკ-ის პრეზიდენტობას საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი აპირებს, ვისაც შარშან კახეთის გუბერნატორის პოსტი ეკავა, და სწორედ მან დააარსა ძიუდოისტთა კლუბი „საგარეჯო“.

გია ნაცვლიშვილი წლების მანძილზე „ნაციონალების“ გამორჩეული სახე იყო და პარლამენტში მეგობრებთან ერთად სპორტს კურატორობდა. გუშინ გია ნაცვლიშვილს რომ დავუკავშირდით, ეს გვითხრა: „საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის არჩევნებზე ჩემი კანდიდატურა წამოვაყენო. სეოკ-ში შესაბამის საბუთებს მალე შევიტან. ამ დღეებში გავარკვევ, რომელი ფედერაცია წარადგენს ჩემს კანდიდატურას, რადგან მსურველი არაერთი ფედერაციაა“.

ბაჩო სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგი მახარაძის ფოტო

ერთ თოკში პაპა და შვილიშვილია

მწვერვალებზე ჩვენში თუ უცხოეთში არაერთი ოჯახური წყვილი ასულა, მათ შორის ცოლქმარი, და-ძმა, დედა-შვილი, მამა-შვილი, მაგრამ აქამდე არ გაგვიგია, რომ საქართველოს „ცათამბჯენები“ პაპასა და შვილიშვილს ერთ „ჩაბმაში“ დაელაშქროს.

და აი, კავკასიონის მწვერვალებზე ამსვლელებს ერთი ასეთი წყვილიც შეემატა — ხევსურეთის ჭიუხების მასივზე 3750 მეტრის სიმაღლის მწვერვალ „ვაჟაფშაველაზე“ თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ანანო გაბელაია პაპამისთან, ჩვენს კოლეგა ავთანდილ გურასაშვილთან ერთად ავიდა.

13 წლის ანანო სხვა მოლაშქრეთა შორის ყველაზე უმცროსიც აღმოჩნდა, ეს ასვლა კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინიადის პროგრამით განხორციელდა.

ალპინიადის 120-მდე მონაწილეთაგან, რომლებსაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკოსი შოთა მირიანაშვილი 1958 წლიდან მეთაურობს, მწვერვალზე 80-მდე სტუდენტი ავიდა. მათ შორის. უმრავლესობა ახალბედა იყო, რომლებსაც ათეულების მიხედვით, გიორგი როსტომაშვილი, მალხაზ ხუციშვილი, გაგი მახარაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ტატა ოსიძე, ტატო ტყეშელაშვილი, გიორგი მაჭავარიანი და გიორგი ქრისტესიაშვილი სასწავლო ნაწილის გამგე ვაჟა მატიტაიშვილის მეთაურობით ხელმძღვანელობდნენ, სამაშველო სამსახურს კი შოთა მირიანაშვილივით ტიტულიანი მიტო დანგაძე განაგებდა.

გიორგი დარჯანია

სალნიკოვას სადებიუტო აუზი

რასაც შეეძლებ, იმას გავცურავ

21 წლის ანა სალნიკოვა საქართველოს მოცურავეთა ნაკრების პირველი ნომერია და ქართველი სპორტსმენების იმ ერთეულებს განეკუთვნება, ვისთვისაც პეკინის ოლიმპიადა სადებიუტო იქნება. ანა სალნიკოვა და კიდევ ერთი ჩვენი მოცურავე ირაკლი რევიშვილი პეკინის ოლიმპიადაზე 30 ივლისს გაემგზავრებიან და ადგილზე ათდღიან შეკრებას გაივლიან. იქამდე კი ანა სალნიკოვას დავუკავშირდით და როდესაც გვითხრა, თბილისში საკუთარ სახლში ვარო, ძალიან გაგვიკვირდა...

— ვიცოდით, რომ ირაკლი რევიშვილთან ერთად ქობულეთში იყავით შეკრებაზე...

— არა, შეკრება საერთოდ არ გვქონდა. მეც გამიკვირდა, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს მე და ირაკლი ქობულეთში ვიყავით შეკრებაზე. თბილისში დავრჩით და აქ ვვარჯიშობთ.

— თბილისში სად ემზადებით?

— თვენახევარია, ვაკის საცურაო აუზში ვვარჯიშობთ, იქამდე ასკ-ს აუზში ვემზადებოდით, სადაც ზამთარში ხან მილი იყინებოდა, ხან სკდებოდა და რამდენიმე ვარჯიშიც ჩაგვივარდა. კარგი იქნებოდა, ნორმალური შეკრება გქონოდა, მაგრამ რაც არის, არის, პეკინში ჩვენსას ვეცდებით.

— ოლიმპიადაზე ეგრეთ წოდებულ „ველური ბარათით“ მოხვდით. თქვენგან მედლებს არავინ ითხოვს და ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფალი იქნებით...

— არა, არც ეგრეა საქმე. რაც უნდა იყოს, ეს ჩემთვის პირველი ოლიმპიადა და წმინდა სპორტულ დაძაბულობას მაინც განვიცდი. ალბათ პირველივე გაცურვის შემდეგ, თავს უფრო თავისუფლად ვიგრძნობ, მაგრამ მანამდე მართლაც ვნერვიულობ.

— კვალიფიკაციის გასვლას შეძლებ?

— არ ვიცი, ვნახოთ. „მოკლე წყალში“ 100 მეტრს 1 წუთსა და 22 წამში ვფარავ, ხოლო „გრძელ წყალში“ 1 წუთი და 19 წამი მჭირდება. პეკინში ძალიან ბევრი მოცურავე იქნება და ჩემი შედეგიც გარკვეულწილად მათ შედეგზეც იქნება დამოკიდებული.

— ბოლოს მაინც გამოცდილებამდე მივდივართ, მაგრამ პეკინამდე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზეც იცურავე...

— ერთი თვის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიყავით, მერე კი პრაღაში და მინსკში საერთაშორისო ტურნირებზე ვიცარავე, თუმც ოლიმპიადისთვის ეს საკმარისი არაა.

— პრობლემაც იყო. პეკინში შეიძლებოდა, პირადი მწვრთნელი ირინა მინჟულინა ვერ გამოგყოლოდათ. ახლა კი ეს საკითხი მოგვარებულია. ცხადია, ეს დამატებითი სტიმული იქნება.

— რა თქმა უნდა, ასეც არის. როდესაც პირადი მწვრთნელი თან გახლავს, მშვიდად და უფრო იმედიანად ხარ. მინჟულინა, რომ პეკინში იქნება, ეს ჩემთვისაც და ირაკლი რევიშვილისთვისაც ორმაგად კარგი ამბავია.

— თქვი, რომ აქ ნორმალური შეკრება არ გქონიათ. საწყლოსნო სახეობებში ბევრი სპორტსმენი საზღვარგარეთ ვარჯიშოს და იქ მომზადებას ამჯობინებს. ასეთი შანსი გქონია?

— არა, ამაზე არც არავისთან მილაპარაკია. მომავალში ვნახოთ, დღეს კი ამის საშუალება არ არის.

ბაჩო სვანიძე

ამ პრობლემებს მოგიხსნით

ტრიმოლი

ცხელება, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, ცხელებით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.

რეგისტრაციის № R00037702

- სიცხის დამწევი
- ტკივილგამაყუჩებელი
- ანთების საწინააღმდეგო

აჯანტა ფარმა ლიმიტედი - ინდოეთი

ტრიმოლი

PSP ᲡᲚᲔ

ᲩᲔᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ

ᲐᲦᲛᲐᲤᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲗ 148₾

კურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

ᲜᲐᲓᲐᲚᲘᲡ ᲑᲐᲓᲐᲚᲘ ᲰᲐᲠᲓᲖᲔᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

რაფაელ ნადალი

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ
მასტერსი. ტორონტო. კანადა. ჰარდი
საპრიზო 2 615 000 დოლარი

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲫᲘᲚ ᲡᲘᲛᲝᲜᲘ (საფრანგეთი) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 3:6 6:2 6:3; ᲔᲜᲓᲘ ᲛᲘᲣᲠᲔᲘ (მ, ბრიტანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) 6:3 7:6; ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲜᲐᲓᲐᲚᲘ (2, ესპანეთი) — რიშარ გასკე (10, საფრანგეთი) 6:7 6:2 6:1; ᲜᲘᲙᲚᲐᲡ ᲙᲘᲤᲔᲠᲘ (გერმანია) — ჯეიმს ბლეიკი (7, აშშ) 6:1 6:2

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲜᲐᲓᲐᲚᲘ — მიურეი 7:6 6:3; ᲙᲘᲤᲔᲠᲘ — სიმონი 6:7 6:3 7:6

რაფაელ ნადალი ფორსირებული მარშით მიემართება რეიტინგის პირველი საფეხურისკენ. ვერავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ესპანელს ტორონტოში ჩასვლამდე მოტივაცია აკლდა, მაგრამ, რაც როჯერ ფედერერმა პირველივე წრეში წააგო და ესპანელს მისი დაწევის რეალური შანსი მიეცა, რაფა კორტზე უბრალოდ დაფრინავს.

პირინელს საკმაოდ მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში — ნადალი ორივეგან თითქმის თავის კბილა მეჩოგნეებს, ორ ახალგაზრდა ვარსკვლავს, რიშარ გასკესა და ენდი მიურეის შეხვდა. ჩვენში დარჩეს და ეს დუეტი იუნიორთა შორის ესპანელზე ნიჭიერებად იყვნენ მიჩნეულნი და მათ დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. მართლაც, მათ თითქოს ყველაფერი აქვთ საიმისოდ, რომ საჩოგბურთო ელიტაში მყარად მოიკიდონ ფეხი — მშვენიერი სათამაშო ტექნიკა, დარტყმათა მრავალფეროვანი არსენალი და შემტევი სტილიც, მაგრამ დღეისთვის ორივე ერთად ახლოსაც ვერ გაეკარება მალიორკელის დიდებას. ეს კი იმიტომ, რომ რაფა ფსიქოლოგიური მდგრადობით ერთი თავით მაღლა დგას ბრიტანელსა და ფრანგზე და თავის საუკეთესო თვისებებს სწორედ გადამწყვეტ მომენტებში ავლენს.

ეს ყველაფერი ტორონტოში ნათლად გამოჩნდა, როცა არც გასკემ და არც მიურეიმ თითქოსდა არაფერი დაუთმეს ესპანელს და ტოლ-სწორად ეომნენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა და ნერვების თამაში წავიდა, რაფა ერთმნიშვნელოვნად ჯობდა თავის ოპონენტებს. პლუს კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ესპანელის ფანტასტიური ფიზიკური მომზადება — თაკარა მზის ქვეშ მოთამაშე გასკე და მიურეი საკმაოდ მალე დაიღალნენ, მაშინ როცა მალიორკელს ტემპი ოდნავადაც არ დაუგდია.

,,საკმაოდ მაღალ დონეზე ვთამაშობ, რაც ფრიად მახარებს — თიხნარისა და ბალახის შემდეგ ჰარდზე გადართვა იოლი არ იყო, მაგრამ ჩანს, რომ სწორდ გზაზე ვდგავარ. ისე ხომ ფინალში ვერ გავიდოდი" — მორცხვობდა ნადალი ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

ასე რომ, რაფას ახლა შანსი აქვს გაიმეორეს 2005 წლის მიღწევა და ტორონტოში იხეიროს, რითაც ფედერერს ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდება. და თუ შემდეგ კვირას ცინცინატიში კანადური სცენარი განმეორდება — ანუ ფედერერი ნაადრევად წააგებს, ესპანელი კი იჩემპიონებს ანაც ფინალს მაინც უწევს, რეიტინგში შვეიცარიელის 4 წლიან დომინირებას ბოლო მოეღება.

თუმც აქამდე ნადალს კიდევ რამდენიმე ბარიერის გადალახვა მოუწევს და პირველ მათგანს სახელად ნიკლას კიფერი ჰქვია. გერმანელმა კარიერაში პირველად უწია მასტერსის ფინალს და არაფრის იოლად დამთმობი არ იქნება. მით უმეტეს, რომ მოტივაცია არც მას აკლია — კიფერმა ხომ თავისი ბოლო ტიტული 2000 წელს ჰონგ კონგში მოიგო. მას შემდეგ 8 გრძელმა წელიწადმა, 140 ტურნირმა და 9 უიღბლო ფინალმა ჩაიარა და აგერ ახლა მას შანსი აქვს, ბოლო მოუღოს თავის გრძელვადიან გვალვას.

ᲫᲐᲚᲔᲑᲘ
ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 დოლარი

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲔᲚᲔᲜᲐ ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲘᲩᲘ (1, სერბეთი) — ნადია პეტროვა (9, რუსეთი) 7:5 6:4; ᲓᲘᲜᲐᲠᲐ ᲡᲐᲤᲘᲜᲐ (4, რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (8, ბელარუსი) 6:3 6:1; ᲤᲚᲐᲕᲘᲐ �პᲔᲜᲔᲢᲐ (10, იტალია) — სიბილ ბამერი (14, ავსტრია) 7:6 3:6 6:1; ᲠᲔᲢᲐᲜᲘ ᲛᲐᲢᲔᲙᲘ (აშშ)— მენგ იუანი (ჩინეთი) 6:2 7:5

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲐᲤᲘᲜᲐ — იანკოვიჩი 7:6 6:1; �პᲔᲜᲔᲢᲐ — ᲨᲐᲢᲔᲙᲘ 3:6 6:2 7:5

ნადალის დარი მოტივაცია ჰქონდა ელენა იანკოვიჩსაც, რომელსაც უკვე ლოს ანჯელესში გამარჯვების შემთხვევაში შეეძლო რეიტინგის სათავეში მოქცევა, საიდანაც თანამემამულე ანა ივანოვიჩს დაიფრენდა. მაგრამ სერბს ოცნება დინარა საფინამ ჩაუშხამა. რუსმა, რომელიც გაზაფხულის დასაწყისიდან მოყოლებული მშვენიერ ფორმაშია, გვარიანად დაჩაგრა კალიფორნიაში პირველ ნომრად განთესილი ბალკანელი — იანკოვიჩმა მხოლოდ პირველ სეტში გაძლო და ტაიბრეიკამდე მიჯახირდა, თუმც აქ რუსმა მაინც იმარჯვა. მეორე სეტში კი საფინამ პირწმინდად გადაურბინა მეტოქეს და მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო.

„რა მეთქმის — დღეს ის საუკეთესო იყო. გული მწყდება, რომ გაპირველება ვერ შევძელი, მაგრამ იმედი მაქვს, ჩემი დროც მოვა" — სევდიანად განაცხადა ნამატჩევს იანკოვიჩმა.

საფინა კი ფინალში ფლავია პენეტას შეხვდება, რომელიც ნახევარფინალში მასპინძელთა შემორჩენილ იმედ ბეტანი მატეკს გაუმკლავდა. იტალიელისთვის ეს მე-13 კარიერული ფინალი იქნება, თუმც აპენინელს აქამდე ერთხელაც არ უთამაშია ამ დონის სატიტულო მატჩში.

ᲫᲐᲚᲔᲑᲘ
პორტოროზი. სლოვენია. ჰარდი
საპრიზო 145 000 დოლარი

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲐᲠᲐ ᲔᲠᲐᲜᲘ (8, იტალია) — მარია კირილენკო (1, რუსეთი) 6:1 7:5; ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜ ᲕᲝᲖᲜᲘᲐᲙᲘ (3, დანია) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:0 6:1; ᲐᲜᲐᲑᲔᲚ ᲛᲘᲓᲘᲜᲐ-ᲒᲐᲠᲘᲒᲘᲡᲘ (4, ესპანეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:3 6:2; ᲯᲣᲚᲘ ᲯᲝᲠᲯᲔᲡᲘ (გერმანია) — პეტრა მარტიჩი (ხორვატია) 6:3 4:6 6:4

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲔᲠᲐᲜᲘ — ᲕᲝᲖᲜᲘᲐᲙᲘ 6:4 6:4; ᲛᲘᲓᲘᲜᲐ-ᲒᲐᲠᲘᲒᲘᲡᲘ — ᲯᲝᲠᲯᲔᲡᲘ 6:3 2:6 6:4

სლოვენიური პორტოროზის ტიტულს სარა ერანი და ანაბელ მედინა-გარიგესი გაითამაშებენ. ორივეს ნახევარფინალში ახალგაზრდა მეტოქეების დაძლევა მოუწიათ და თუ იტალიელმა საკმაოდ ადვილად იხეირა, ესპანელს გვარიანად წვალება მოუწია.

არადა, ერანის უფრო ძნელი მეტოქე ჰყავდა კაროლინ ვოზნიაკის სახით, რომელმაც ამ ნახევარფინალამდე სამი წრე ისე გაიარა, რომ ხეირიანად ოფლიც კი არ მოუდენია. მაგრამ დანელი როგორც კი მეტნაკლებად სერიოზულ წინააღმდეგობას გადაეწყდა, მაშინვე მიიჩოგნა. ერანიმ კი ტურნირის ორი ფავორიტი ჩამოიცილა — ვოზნიაკის დამარცხებამდე ტურნირის პირველ ნომერ მარია კირილენკოს გაუმკლავდა.

გარიგესს კი მეტოქედ გერმანელი ჯორჯესი ჰყავდა — ესპანელმა კარგად დაიწყო, მაგრამ მეორე სეტში პირწმინდად დაიჩაგრა. გადამწყვეტ პარტიაში კი პირინელმა მხოლოდ ბოლოსკენ შეძლო გერმანელის საბოლოოდ გატეხვა.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲖᲘᲚᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲣᲠᲘ ᲯᲐᲛᲗᲘᲡᲘ



ასაფა პაუელი

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲔᲡ და შაბათს ლონდონში იააფ-ის სუპერ გრან პრის შეჯიბრი გაიმართა და ორი დღე „კრისტალ პელასის" სტადიონი „ჯამაიკას" მღეროდა — ასაფა პაუელმა, უსაინ ბოლტმა, ვერონიკა კემპბელ ბრაუნმა და შერონ სიმპსონმა კაცთა და ქალთა ყველა სპრინტერული გარბენი მოიგეს და აგრე დათქვეს, პეკინში, ოლიმპიადაზეც იმავეს ვიქმთო.

ასაფა პაუელი და უსაინ ბოლტი — დღეს სამძლეოსნო სამყაროს ამ ორი ფეხმარდი იამაიკელის სახელი აკერია პირზე. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, ამათთან ერთად ამერიკელ მსოფლიოს ჩემპიონ ტაისონ გაისაც ახსენებენ და ყველა მოუთმენლად ელის დიდი სამეულის პეკინურ შეჯიბრს 100 მეტრზე სირბილში. პეკინამდე ჯერ საკმაო დროა და ლონდონში კი ასაფამ და უსაინმა დისტანციები გაიყვეს — პაუელმა 100 მეტრი ირბინა, ბოლტმა — 200. ლონდონში გაიც უნდა ჩასულიყო 100 მეტრის სარბენად, მაგრამ ამერიკელმა ბოლოწამს იუარა იამაიკელებთან პეკინამდე გაჯიბრება და მარტოდ დარჩენილმა პაუელმა უპრობლემოდ, 9,94 წამით მოიგო. უფრო შთამბეჭდავი იყო ბოლტის 19,76 წამი 200 მეტრზე, მით უმეტეს, რომ მეორე ადგილზე გასული ამერიკელი უოლეს სპირმონი ნახევარი წამით უკან დარჩა.

ვერონიკა კემპბელ ბრაუნმა, ვინც 100 მეტრზე სირბილში იამაიკის საპეკინო გუნდში ვერ მოხვდა, გაბრაზებულ გულზე ერთხელაც იმარჯვა, 10,87 წამში ჩაეტია და ლონდონშიც ყველას მიანიშნა, იამაიკის შიდაჩემპიონატზე ჩავარდნა მხოლოდ შემთხვევითობა რომ იყო.

ვერონიკას შემდეგ ფინიშს ასევე იამაიკელმა შელი-ენ ფრეზერმა უწია, ხოლო 200 მეტრზე კიდევ ერთმა იამაიკელმა შერონ სიმპსონმა იმარჯვა 22,70 წამით.

გვარიანი სანახავი გამოდგა ჭოკით მხტომელთა შეჯიბრი ქალებშიც და კაცებშიც. ქალთა შორის ყველაფრის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა რუსმა ელენა ისინბაევამ უშუალო დუელში დასცა ამერიკელი ჯენიფერ სტუჩინსკი და მიანიშნა, ჩემამდე ჯერ ბევრი გიკლიაო. ელენა 493 სანტიმეტრს გადაახტა, სტუჩანსკი 481-ით დაკმაყოფილდა და მერე ორივემ შეუტია სარეკორდო, 504-სანტიმეტრიან სიმაღლეს, მაგრამ ამაოდ.

კაცებშიც რუსმა იმარჯვა. ევგენი ლუკიანენკომ და ავსტრალიელმა სტივენ ჰუკერმა ერთნაირი, 597-სანტიმეტრიანი სიმაღლე აიღეს, მაგრამ რუსს საამისოდ ნაკლები ცდა დასჭირდა და გამარჯვებულადაც ის გამოცხადდა.

ჭოკის გარეშე, საკუთარი ფეხებით 238 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო რუსი ანდრეი სილნოვი და ეს სეზონის საყოველთაო რეკორდი გახლავთ. მაგარი კი ის არის, რომ სილნოვი რუსთა საოლიმპიადო განაცხადში არ იყო, აქაოდა, წლეულს ვერ ვარგობსო და ახლა რუსებს სასწრაფოდ უწევთ თავიანთ საოლიმპადო განაცხადში კორექტივების შეტანა.

იამაიკელებისა და რუსების შემდეგ მასპინძლებისაც ვთქვათ, მით უმეტეს, რომ ბრიტანელმა მძლეოსნებმა მშობლიურ შეჯიბრზე რიგიანი შედეგები აჩვენეს. მაგალითად, სამხტომელ კაცთა შორის სეზონის ლიდერი ფილიპ იდოვუ 17,42 მეტრზე გადახტა, 400 მეტრზე სირბილში ქალთა შორის კრისტინ ოჰუროგომ (50,80), კაცებში კი მარტინ რუნამ (44,83) იმარჯვეს და ქალთა 800 და 1500-მეტრიანი გარბენებიც მასპინძლებმა მოიგეს.

ᲘᲐᲐᲤᲘ-ᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠ ᲒᲠᲐᲜ ᲞᲠᲘ
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ. 25-26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲫᲐᲚᲔᲑᲘ	
100 მ ვერონიკა კემპბელ ბრაუნი (იამაიკა)	10,87
200 მ შერონ სიმპსონი (იამაიკა)	22,70
400 მ კრისტინ ოჰუროგუ (ბრიტანეთი)	50,80
800 მ მერლინ ოკორო (ბრიტანეთი)	1.58,45
1500 მ ლიზა დობრასკი (ბრიტანეთი)	4.08,97
3000 მ ჯენიფერ რეინსი (აშშ)	8.53,26
400 მ თარჯრბენი ლოლო ჯონსი (აშშ)	12,58
3000 მ წინაღობებით როიზინ მაკგეტიგანი (ირლანდია)	9.33,76
ᲭᲝᲙᲘᲗ ᲮᲢᲝᲛᲐ ელენა ისინბაევა (რუსეთი)	4,93
ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲮᲢᲝᲛᲐ ანა ჩიჩეროვა (რუსეთი)	2,01
ᲨᲣᲒᲘᲡ ᲢᲧᲝᲠᲪᲜᲐ კრისტიან ობერჰოფლი (გერმანია)	65,93
ᲙᲐᲪᲔᲑᲘ	
100 მ ასაფა პაუელი (იამაიკა)	9,94
200 მ უსაინ ბოლტი (იამაიკა)	19,76
400 მ მარტინ რუნი (ბრიტანეთი)	44,83
800 მ აბრაამ ჩეპკირვოკი (უგანდა)	1.45,64
1 მილი შედრაკ კიბეტ კორერი (კენია)	3.54,68
3000 მ ბონიფაცი კიპროპი (უგანდა)	7.36,95
4X100 მ აშშ	37,80
110 მ თარჯრბენი დეივიდ ოლივერი (აშშ)	13,20
400 მ თარჯრბენი კერონ კლემენტი (აშშ)	48,36
ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲮᲢᲝᲛᲐ ანდრეი სილნოვი (რუსეთი)	2,38
ᲭᲝᲙᲘᲗ ᲮᲢᲝᲛᲐ ევგენი ლუკიანენკო (რუსეთი)	5,97
ᲡᲘᲒᲠᲫᲔᲖᲔ ᲮᲢᲝᲛᲐ გრეგ რუზერფორდი (ბრიტანეთი)	8,16
ᲡᲐᲛᲮᲢᲝᲛᲘ ფილიპ იდოვუ (ბრიტანეთი)	17,42
ᲒᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲠᲐ რის ჰოფა (აშშ)	21,13

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლოს დიდი

რიისმა სასტრე დათვალა და არ გათვალა

როდესაც წლევანდელი „ტურის“ ურთულესი, ჭეშმარიტად „სამეფო“, ალპ დუეზის ეტაპი მოიგო, დანიური CSC-ის ესპანელ მრბოლ კარლოს სასტრეს კარლოს პირველი ვუწოდეთ და ახლა, როდესაც 33 წლის ველოსიპედისტმა კარიერის უდიდესი გამარჯვება მოიპოვა და 95-ე „ტურ დე ფრანსის“ ტრიუმფატორი გახდა, ნამდვილად არ იქნება ზედმეტი, თუ კარლოს დიდად მოვიხსენიებთ.

... ეს წელი ჩვენიაო, ამბობდნენ რუსები — ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ, „ზეტინმა“ უეფას თასი აიღო, ცსკა-მ საკალათბურთო ევროლიგა მოიგო, მაშა შარაპოვამ — ავსტრალიის ღია პირელობა, ფეხბურთელებმა ევროპის ჩემპიონატზე... თუმცა, საფეხბურთო ევროპა ხომ ესპანელებს დარჩათ, თანაც რუსები ორჯერ, 4:1 და 3:0 დაანგრიეს და 2008 წელი, სპორტული თვალსაზრისით, სწორედ ესპანური გამოდის — ფეხბურთელთა ნაკრებზე აღარ გვინდა ლაპარაკი და რაფაელ ნადალმა მიჯრით „როლან გარისი“ და უიმბლდონი მოიგო და აგერ, კარლოს სასტრე, ალბათ, ურთულესი სპორტული შეჯიბრის, „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული გახდა.

... ბიარნე რიისმა, „ტურის“ 1996 წლის ჩემპიონმა, ვისაც ეს ტიტული შარშან, მას შემდეგ ჩამოართვეს, რაც აღიარა, გასული საუკუნის 90-იან წლებში დოპინგის მომხმარებელი ვიყავიო, ყველა გააცურა. რიისი CSC-ის სპორტული დირექტორი და მთავარი შემოქმედია. მან ჭეშმარიტად ვარსკვლავურ შემადგენლობას მოუყარა თავი და ზემძლავრი გუნდი შექმნა, გუნდი, რომლის ყველა წევრიც ერთ მიზანს — ჩემპიონობას ემსახურებოდა. ამ ვალსკვლავურ გუნდს „ტურზე“ სამი კაპიტანი ჰყავდა — ლუქსემბურგელი ძმები ფრენკ და ედი შლეკები და სასტრე და თითქმის მთელი რბოლა ისე ჩანდა, რომ ამ სამეულიდან რიისი მთავარ აქცენტს უფროს შლეკზე, ფრენკზე აკეთებდა.

როგორც ალპ დუეზის აღმართში გაირკვა, რიისი ყველას ატყუებდა და CSC-ის მთავარი ჯილა, კარლოს სასტრე, ვინც მთელი ეს ამ-ხელა გზა შენიღბული იყო და ერთგვარ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა, სცენაზე გამოჩნდა.

ეს იყო ბრწყინვალედ განხორციელებული დიდებული გუნდური ტაქტიკის შესანიშნავი ნიმუში. მთელი 16 ეტაპი სასტრე არ ჩანდა, მაგრამ არა ისე, რომ გენერალური კლასიფიკაციის მოწინავეებს დიდად ჩამორჩენოდა. ფრენკ შლეკმა კი ყვითელი მაისურა მოირგო და ალპ დუეზზე, თითქოს მას უნდა შეეტია, მაგრამ რიისმა გენიალურად გათვალა — ჯერ ერთი, რომ სასტრეს იერიში უფრო მოულოდნელი იქნებოდა და მეორე და უმთავრესი — ინდივიდუალურ რბოლებში სასტრეს თანაგუნდელზე გაცილებით დიდი გამოცდილება აქვს და მართალია, ინდივიდუალური სვლით, დიდად, არც თავად კარლოსი ბრწყინავს, შაბათს, როდესაც ბოლოსწინა ეტაპზე 53-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა იყო, სასტრეს წარმატების, უფრო სწორად კი მანამდე მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნების გაცილებით დიდი შანსი ექნებოდა და ასეც მოხდა.

მთავარ ფავორიტად მიჩნეული ავსტრალიელი კედელ ევანსი სასტრესთან წუთსა და 34 წამს აგებდა და პროგნოზებით, ევანსს ეს ჩამორჩენა უნდა ამოელო. ეგ კი არა, ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ, სასტრეს რუს დენს მენშოვთან არსებული უპირატესობის (2 წუთი და 39 წამი) შენარჩუნებაც გაუჭირდებაო.

არაფერიც არ გაჭირვებია — ევანსმა სასტრეს მხოლოდ 29 წამი ამოუქაჩა, მენშიკმა კი — 39 და რუსი, სულაც სამეულს მიღმა დარჩა, ევანსი კი საბოლოო ჯამში, წუთზე მეტით ჩამორჩა ესპანელს.

კარლოს სასტრე „ტურ დე ფრანსზე“ პირველად 2001 წელს გამოჩნდა და მე-20 ადგილზე გავიდა. 2002 წელს მე-10 იყო, 2003-ში — მეცხრე, 2004-ში მერვე, 2005-ში, თითქოს წინსვლა შეფერხდა და სასტრე 21-ე ადგილზე დაქვეითდა, მაგრამ შარშანწინ, უკვე მეოთხე იყო, შარშანაც მეოთხემ დაასრულა უდიდესი რბოლა და აი, წლეულს კარლოს სასტრე ჩემპიონია.

ფედერიკო ბაამონტესის, ლუის ოკანას, მიგელ ინდურაინის, ოსკარ პერეირო სიოსა და ალბერტო კონტადორის შემდეგ სასტრე „ტურ დე ფრანსის“ მომგები მეექვსე ესპანელია. ისიც სათქმელია, რომ ბოლო სამი წელია, „ტურს“ სწორედ ესპანელები — პერეირო სიო, კონტადორი და სასტრე იგებენ, მაგრამ ამ სამიდან ნაღდი ტრიუმფატორი მხოლოდ სასტრეა, რადგანაც პერეირო სიოსა და კონტადორს ტიტულები, შესაბამისად, ფლოიდ ლენდისისა და მიქაელ რასმუსენის დისკვალიფიკაციების შემდეგ ერგოთ.

შაბათის ეტაპი კი „გეროლშტაინერის“ შტეფან შუმახერმა მოიგო და ისე გამოვიდა, რომ ამ გერმანელმა წლევანდელი „ტურის“ ორივე ინდივიდუალურ ეტაპზე იმარჯვა. შუმახერის ავსტრიელმა თანაგუნდელმა ბერნჰარდ კოლმა გენერალურ კლასიფიკაცაში მესამე ადგილი დაიკავა და საუკეთესო სამთო მრბოლისთვის განკუთვნილი წითელწინწკლებიანი მაისურა დაისაკუთრა; საუკეთესო სპრინტერის სარგო მწვანე მაისურა „რაბობანკის“ ესპანელ მრბოლს, ჯგუფურ რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ოსკარ ფრეირეს დარჩა, ხოლო თეთრი მაისურა, რომელიც საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლისთვისაა განკუთვნილი, სასტრეს თანაგუნდელმა ენდი შლეკმა არ დაუთმო არავის.

გუნდური პირველობა CSC-მ მოიგო და გენერალურ კლასიფიკაციაში კი სასტრეს, ევანსსა და კოლს მენშოვი, ამერიკელი კრისტიან ვანდეველდე და უფროსი შლეკი უდგანან უკან. მხოლოდ მეცხრეზე გავიდა სასტრეს თანამემამულე ალეხანდრო ვალვერდე, ვინც „ტურის“ დაწყებამდე, ევანსთან ერთად, უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა.

აი, ასე დასრულდა რიგით 95-ე „ტურ დე ფრანსი“. სეზონის ბოლომდე კი ველომრბოლებს კიდევ რამდენიმე დიდი შეჯიბრი ელით — ოლიმპიური თამაშები, ესპანური „ვუელტა“ და მსოფლიოს ჩემპიონატი.

95-ე „ტურ დე ფრანსის“ ლაურეატები: კარლოს სასტრე (მარცხნიდან მეორე), ბერნჰარდ კოლი (მარცხნივ), ოსკარ ფრეირე (მარჯვნიდან მეორე) და ენდი შლეკი



კარლოს სასტრე

დაიბადა 1975 წლის 22 აპრილს მადრიდში (ესპანეთი). ესპანეთის მოქალაქე. სიმაღლე 173 სმ. წონა 61 კგ. პროფესიონალია 1997 წლიდან. გუნდები — ONCE (1997-2001), CSC (2002-დან დღემდე)

კარიერის უმნიშვნელოვანესი მომენტები

1999 — პირველად გამოვიდა სუპერრბოლაში: „ჯირო დიტალია“ (101-ე ადგილი).

2000 — „ვუელტაზე“ მე-8 ადგილი დაიკავა.

2001 — თავის პირველ „ტურ დე ფრანსზე“ მე-20 ადგილზე გავიდა; მოიგო „ბურხოსის ვუელტას“ ერთი ეტაპი.

2002 — ერთ სეზონში პირველად გამოვიდა ორ სუპერრბოლაში. „ტურზე“ მე-10 იყო, „ჯიროზე“ 38-ე ადგილი დაიკავა

2003 — „ტურზე“ მე-9 ადგილზე გავიდა, „ვუელტაზე“ 35-ე იყო; კარიერაში პირველად მოიგო „ტურ დე ფრანსის“ ეტაპი.

2004 — „ტური“ მე-8 შედეგით დაასრულა, „ვუელტაზე“ კი მეშვიდე ადგილი დაიკავა.

2005 — პირველი პოდიუმი სუპერრბოლაში: „ვუელტაზე“ მესამე ადგილი დაიკავა; „ტურზე“ 21-ე იყო.

2006 — სეზონის სამივე სუპერრბოლაში მიიღო მონაწილეობა „ტურსა“ და „ვუელტაზე“ მეოთხე ადგილები დაიკავა, „ჯიროზე“ 43-ე იყო. „ჯიროსა“ და „ვუელტაზე“ თითო ეტაპი მოიგო; გაიმარჯვა „პრიმავერას დიდ პრიზზე“.

2007 — „ვუელტას“ მეორე პრიზიორი გახდა, „ტურზე“ მეოთხე იყო.

2008 — „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონი; მოიგო „ტურის“ ურთულესი, ალპ დუეზის ეტაპი.

მე-20 ეტაპი. სერილი — სენტ ამან მონტრონი. 53 კმ (ინდ. რბოლა)

1. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“)	1სთ 03წთ 50წმ
2. ფაბიან კანცელარა (შვეიცარია, CSC)	+21წმ
3. კიმ კირხენი (გერმანია, „კოლუმბია“)	+1.01
4. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „კოლუმბია“)	+1.05
5. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, „ჯერმენ შიპოტლი“)	+1.137

21-ე ეტაპი. ეტამპი — პარიზი. 134კმ

1.გერტ სტეეგმანსი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“)	3სთ 51წთ 38წმ
2.გერალდ ციოლეკი (გერმანია, „კოლუმბია“)	
3.ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“)	
4.რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“)	
5.ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი“)	ყველას იგივე დრო

საბოლოო მდგომარეობა

1. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	87სთ 52წთ 52წმ
2. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“)	58წმ
3. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, „გეროლშტაინერი“)	+1.13
4. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი“)	+1.53
5. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი“)	+3.05
6. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	+4.28
7. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“)	+6.32
8. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია“)	+7.02
9. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“)	+7.26
10. ტადეი ვალუავეცი (სლოვენია, AG2R)	+9.12

საუკეთესო სამთო მრბოლი: 1. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, „გეროლშტაინერი“) 128 ქულა; 2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 80; 3. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 80; 4. ტომას ვოკლერი (საფრანგეთი, „ბეჟტელეკომი“) 65; 5. სებასტიან ლანგი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) 62

საუკეთესო სპრინტერი: 1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“) 270 ქულა; 2. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი“) 220; 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი“) 217; 4. ლეონარდო დეკუ (კოლუმბია, „კოფიდისი“) 181; 5. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია“) 155

საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლი

1. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	88სთ 04წთ 24წმ
2. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, „ლიქუიგასი“)	+1წთ 17წმ
3. ვიჩენცო ნაბალი (იტალია, „ლიქუიგასი“)	+17.01
4. მაქსიმ მონკორტი (ბელგია, „კოფიდისი“)	+24.16
5. ედუარდო რამირეს გონსალესი (ესპანეთი, „აგრიტუბელი“)	+1:08.34

გუნდური ჩათვლა

1. CSC (დანია)	26სთ 29წთ 57წმ
2. AG2R (საფრანგეთი)	+15წთ 49წმ
3. რაბობანკი (ჰოლანდია)	+1:05.33
4. ეუსკალტეო (ესპანეთი)	+1:16.48
5. ლოტო (ბელგია)	+1:17.29

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		28 ივლისი						
22:00	296	თუნი-ვილი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
21:30	297	სერვეტი-ლუგანო	1.95	3.20	3.45	1.21	1.24	1.66
		დანია. სუპერლიგა						
		28 ივლისი						
18:00	138	ორჰუსი-ჰორსენსი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
		შვედეთი. სუპერეტა						
		28 ივლისი						
21:00	173	ლანდსკრონა-ქვიდინგი	1.90	3.40	3.70	1.21	1.25	1.77
21:00	174	ატვიდაბერგი-სირიუსი	1.65	3.70	5.00	1.14	1.24	2.12
21:00	175	ასირისკა-ჰეკენი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		29 ივლისი						
21:00	176	ფალკენბერგი-ენჩიოპინგი	1.75	3.50	3.80	1.16	1.19	1.82
21:00	177	მიალბი-ბრომაპოიკარნა	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		30 ივლისი						
20:00	178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.45	3.90	5.70	1.05	1.15	2.31

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		28 ივლისი						
20:00	145	ვოლერენგა-ტრომსიო	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		შვედეთი. ალსვენსკა						
		28 ივლისი						
21:00	161	აიკ-ლიუნგსკილე	1.35	4.00	8.00	1.00	1.15	2.66
21:00	162	გაის-სუნდსვალი	1.85	3.20	3.85	1.17	1.24	1.74
22:00	163	იორებრო-ჰამარბი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		28 ივლისი						
19:30	188	ლაჰტი-კტპ	1.27	4.70	11.00	1.00	1.13	3.29
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		28 ივლისი						
18:00	204	ტროტური-ბრეიდაბლიკი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
23:15	205	კოპავოგური-ფრამი	3.10	3.20	2.00	1.57	1.21	1.23
23:15	206	ფილკირი-კეფლავიკი	3.10	3.20	2.05	1.57	1.23	1.24

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10138	ორჰუსი-ჰორსენსი	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10145	ვოლერენგა-ტრომსიო	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10161	აიკ-ლიუნგსკილე	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10162	გაის-სუნდსვალი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10163	იორებრო-ჰამარბი	3.15	2.00	2.80	1.22	1.48	1.16
10173	ლანდსკრონა-ქვიდინგი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10174	ატვიდაბერგი-სირიუსი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10175	ასირისკა-ჰეკენი	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10296	თუნი-ვილი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10297	სერვეტი-ლუგანო	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11138	ორჰუსი-ჰორსენსი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11145	ვოლერენგა-ტრომსიო	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11161	აიკ-ლიუნგსკილე	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11162	გაის-სუნდსვალი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11163	იორებრო-ჰამარბი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11173	ლანდსკრონა-ქვიდინგი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11174	ატვიდაბერგი-სირიუსი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11175	ასირისკა-ჰეკენი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11296	თუნი-ვილი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11297	სერვეტი-ლუგანო	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15138	ორჰუსი-ჰორსენსი	3.00	2.80	2.00
15145	ვოლერენგა-ტრომსიო	3.00	2.80	2.00
15161	აიკ-ლიუნგსკილე	3.00	2.80	2.00
15162	გაის-სუნდსვალი	3.00	2.80	2.00
15163	იორებრო-ჰამარბი	3.00	2.80	2.00
15173	ლანდსკრონა-ქვიდინგი	3.00	2.80	2.00
15174	ატვიდაბერგი-სირიუსი	3.00	2.80	2.00
15175	ასირისკა-ჰეკენი	3.00	2.80	2.00
15296	თუნი-ვილი	3.00	2.80	2.00
15297	სერვეტი-ლუგანო	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16138	ორჰუსი-ჰორსენსი	1.80	1.85
16145	ვოლერენგა-ტრომსიო	1.40	2.55
16161	აიკ-ლიუნგსკილე	1.10	5.50
16162	გაის-სუნდსვალი	1.32	3.00
16163	იორებრო-ჰამარბი	1.95	1.65
16173	ლანდსკრონა-ქვიდინგი	1.34	2.80
16174	ატვიდაბერგი-სირიუსი	1.23	3.60
16175	ასირისკა-ჰეკენი	1.55	2.20
16296	თუნი-ვილი	1.34	2.80
16297	სერვეტი-ლუგანო	1.38	2.65

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

17138	ორჰუსი-ჰორსენსი	1.85	1.95
17145	ვოლერენგა-ტრომსიო	1.85	1.95
17161	აიკ-ლიუნგსკილე	1.85	1.95
17162	გაის-სუნდსვალი	1.85	1.95
17163	იორებრო-ჰამარბი	1.85	1.95
17173	ლანდსკრონა-ქვიდინგი	1.85	1.95
17174	ატვიდაბერგი-სირიუსი	1.85	1.95
17175	ასირისკა-ჰეკენი	1.85	1.95
17296	თუნი-ვილი	1.85	1.95
17297	სერვეტი-ლუგანო	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი წაგებულად ჩაითვლება)

14138	ორჰუსი-ჰორსენსი	1.90	1.90
14145	ვოლერენგა-ტრომსიო	1.70	2.20
14161	აიკ-ლიუნგსკილე	1.20	2.60
14162	გაის-სუნდსვალი	1.65	2.30
14163	იორებრო-ჰამარბი	2.00	1.80
14173	ლანდსკრონა-ქვიდინგი	1.70	2.20
14174	ატვიდაბერგი-სირიუსი	1.45	2.40
14175	ასირისკა-ჰეკენი	1.80	2.00
14296	თუნი-ვილი	1.70	2.20
14297	სერვეტი-ლუგანო	1.70	2.20

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12138	ორჰუსი-ჰორსენსი	2,5	1.90	1.70
12145	ვოლერენგა-ტრომსიო	2,5	1.90	1.60
12161	აიკ-ლიუნგსკილე	2,5	1.95	1.60
12162	გაის-სუნდსვალი	2,5	1.70	1.80
12163	იორებრო-ჰამარბი	2,5	1.60	1.90
12173	ლანდსკრონა-ქვიდინგი	2,5	1.80	1.80
12175	ასირისკა-ჰეკენი	2,5	1.90	1.70
12296	თუნი-ვილი	2,5	2.00	1.60
12297	სერვეტი-ლუგანო	2,5	1.90	1.70

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

იტალია. სერია A. 2008–2009

2008 წელი

I ტური, 31 აგვისტო
რომა — ნაპოლი
კიევი — რეჯინა
მილანი — ბოლონია
ფიორენტინა — იუვენტუსი
უდინეზე — პალერმო
კატანია — ჯენოა
ტორინო — ლეჩე
კალიარი — ლაციო
სამპდორია — ინტერი
ატალანტა — სიენა

II ტური, 14 სექტემბერი
ლეჩე — კიევი
ბოლონია — ატალანტა
რეჯინა — ტორინო
სიენა — კალიარი
ლაციო — სამპდორია
იუვენტუსი — უდინეზე
პალერმო — რომა
ინტერი — კატანია
ნაპოლი — ფიორენტინა
ჯენოა — მილანი

III ტური, 21 სექტემბერი
უდინეზე — ნაპოლი
ლეჩე — სიენა
ტორინო — ინტერი
ფიორენტინა — ბოლონია
სამპდორია — კიევი
კატანია — ატალანტა
რომა — რეჯინა
კალიარი — იუვენტუსი
პალერმო — ჯენოა
მილანი — ლაციო

IV ტური, 24 სექტემბერი
იუვენტუსი — კატანია
ინტერი — ლეჩე
სიენა — სამპდორია
ჯენოა — რომა
რეჯინა — მილანი
კიევი — ტორინო
ნაპოლი — პალერმო
ბოლონია — უდინეზე
ლაციო — ფიორენტინა
ატალანტა — კალიარი

V ტური, 28 სექტემბერი
რომა — ატალანტა
ბოლონია — ნაპოლი
პალერმო — რეჯინა
მილანი — ინტერი
უდინეზე — სიენა
ლეჩე — კალიარი
ტორინო — ლაციო
ფიორენტინა — ჯენოა
სამპდორია — იუვენტუსი
კატანია — კიევი

VI ტური, 5 ოქტომბერი
სიენა — რომა
კიევი — ფიორენტინა
რეჯინა — კატანია
კალიარი — მილანი
ლაციო — ლეჩე
ატალანტა — სამპდორია
იუვენტუსი — პალერმო
ინტერი — ბოლონია
უდინეზე — ტორინო
ჯენოა — ნაპოლი

VII ტური, 19 ოქტომბერი
მილანი — სამპდორია
ბოლონია — ლაციო
ლეჩე — უდინეზე
ჯენოა — სიენა
ტორინო — კალიარი
ფიორენტინა — რეჯინა
რომა — ინტერი
კიევი — ატალანტა
ნაპოლი — იუვენტუსი
კატანია — ზალერმო

VIII ტური, 26 ოქტომბერი
სამპდორია — ბოლონია
კალიარი — კიევი
რეჯინა — ლეჩე
ატალანტა — მილანი
პალერმო — ფიორენტინა
ლაციო — ნაპოლი
უდინეზე — რომა
იუვენტუსი — ტორინო
სიენა — კატანია
ინტერი — ჯენოა

IX ტური, 29 ოქტომბერი
ტორინო — ატალანტა
ფიორენტინა — ინტერი
რომა — სამპდორია
კიევი — ლაციო
ნაპოლი — რეჯინა
კატანია — უდინეზე
მილანი — სიენა
ბოლონია — იუვენტუსი
ლეჩე — პალერმო
ჯენოა — კალიარი

X ტური, 2 ნოემბერი
პალერმო — კიევი
მილანი — ნაპოლი
უდინეზე — ჯენოა
ლაციო — კატანია
სიენა — ფიორენტინა
იუვენტუსი — რომა
სამპდორია — ტორინო
კალიარი — ბოლონია
რეჯინა — ინტერი
ატალანტა — ლეჩე

XI ტური, 9 ნოემბერი
ლაციო — სიენა
ბოლონია — რომა
ინტერი — უდინეზე
ჯენოა — რეჯინა
ტორინო — პალერმო
ფიორენტინა — ატალანტა
ნაპოლი — სამპდორია
კიევი — იუვენტუსი
ლეჩე — მილანი
კატანია — კალიარი

XII ტური, 16 ნოემბერი
სიენა — ბოლონია
კატანია — ტორინო
სამპდორია — ლეჩე
კალიარი — ფიორენტინა
რომა — ლაციო
ატალანტა — ნაპოლი
პალერმო — ინტერი
მილანი — კიევი
უდინეზე — რეჯინა
იუვენტუსი — ჯენოა

XIII ტური, 23 ნოემბერი
ნაპოლი — კალიარი
კიევი — სიენა
ლეჩე — რომა
ლაციო — ჯენოა
ტორინო — მილანი
ინტერი — იუვენტუსი
სამპდორია — კატანია
ბოლონია — პალერმო
რეჯინა — ატალანტა
ფიორენტინა — უდინეზე

XIV ტური, 30 ნოემბერი
რომა — ფიორენტინა
კალიარი — სამპდორია
პალერმო — მილანი
ატალანტა — ლაციო
იუვენტუსი — რეჯინა
ინტერი — ნაპოლი
უდინეზე — კიევი
ჯენოა — ბოლონია
სიენა — ტორინო
კატანია — ლეჩე

XV ტური, 7 დეკემბერი
ტორინო — ფიორენტინა
ლაციო — ინტერი
სამპდორია — ჯენოა
კალიარი — პალერმო
რეჯინა — ბოლონია
ატალანტა — უდინეზე
ნაპოლი — სიენა
კიევი — რომა
მილანი — კატანია
ლეჩე — იუვენტუსი

XVI ტური, 14 დეკემბერი
იუვენტუსი — მილანი
ინტერი — კიევი
უდინეზე — ლაციო
ჯენოა — ატალანტა
რეჯინა — სამპდორია
რომა — კალიარი
პალერმო — სიენა
ფიორენტინა — კატანია
ნაპოლი — ლეჩე
ბოლონია — ტორინო

XVII ტური, 21 დეკემბერი
მილანი — უდინეზე
ატალანტა — იუვენტუსი
ლეჩე — ბოლონია
ლაციო — პალერმო
ტორინო — ნაპოლი
კიევი — ჯენოა
სიენა — ინტერი
კატანია — რომა
სამპდორია — ფიორენტინა
კალიარი — რეჯინა

2009 წელი

XVIII ტური, 11 იანვარი
რეჯინა — ლაციო
რომა — მილანი
პალერმო — ატალანტა
ბოლონია — კიევი
ნაპოლი — კატანია
ფიორენტინა — ლეჩე
იუვენტუსი — სიენა
ინტერი — კალიარი
უდინეზე — სამპდორია
ჯენოა — ტორინო

XIX ტური, 18 იანვარი
მილანი — ფიორენტინა
ატალანტა — ინტერი
ლეჩე — ჯენოა
ლაციო — იუვენტუსი
ტორინო — რომა
კიევი — ნაპოლი
სიენა — რეჯინა
კატანია — ბოლონია
სამპდორია — პალერმო
კალიარი — უდინეზე

XX ტური, 25 იანვარი
ინტერი — სამპდორია
ლაციო — კალიარი
ნაპოლი — რომა
სიენა — ატალანტა
ბოლონია — მილანი
იუვენტუსი — ფიორენტინა
პალერმო — უდინეზე
რეჯინა — კიევი
ლეჩე — ტორინო
ჯენოა — კატანია

XXI ტური, 28 იანვარი
კალიარი — სიენა
უდინეზე — იუვენტუსი
ტორინო — რეჯინა
კატანია — ინტერი
რომა — პალერმო
მილანი — ჯენოა
ფიორენტინა — ნაპოლი
ატალანტა — ბოლონია
კიევი — ლეჩე
სამპდორია — ლაციო

XXII ტური, 1 თებერვალი
ჯენოა — პალერმო
ლაციო — მილანი
ნაპოლი — უდინეზე
სიენა — ლეჩე
ინტერი — ტორინო
ბოლონია — ფიორენტინა
კიევი — სამპდორია
ატალანტა — კატანია
რეჯინა — რომა
იუვენტუსი — კალიარი

XXIII ტური, 8 თებერვალი
ფიორენტინა — ლაციო
კალიარი — ატალანტა
კატანია — იუვენტუსი
ლეჩე — ინტერი
სამპდორია — სიენა
რომა — ჯენოა
მილანი — რეჯინა
ტორინო — კიევი
პალერმო — ნაპოლი
უდინეზე — ბოლონია

XXIV ტური, 15 თებერვალი
სიენა — უდინეზე
კალიარი — ლეჩე
ლაციო — ტორინო
ჯენოა — ფიორენტინა
იუვენტუსი — სამპდორია
კიევი — კატანია
ატალანტა — რომა
რეჯინა — პალერმო
ნაპოლი — ბოლონია
ინტერი — მილანი

XXV ტური, 22 თებერვალი
ლეჩე — ლაციო
სამპდორია — ატალანტა
პალერმო — იუვენტუსი
ბოლონია — ინტერი
ტორინო — უდინეზე
ნაპოლი — ჯენოა
რომა — სიენა
ფიორენტინა — კიევი
კატანია — რეჯინა
მილანი — კალიარი

XXVI ტური, 1 მარტი
იუვენტუსი — ნაპოლი
პალერმო — კატანია
სამპდორია — მილანი
ლაციო — ბოლონია
უდინეზე — ლეჩე
სიენა — ჯენოა
კალიარი — ტორინო
რეჯინა — ფიორენტინა
ინტერი — რომა
ატალანტა — კიევი

XXVII ტური, 8 მარტი
ლეჩე — რეჯინა
რომა — უდინეზე
ნაპოლი — ლაციო
ფიორენტინა — პალერმო
ტორინო — იუვენტუსი
კიევი — კალიარი
ჯენოა — ინტერი
მილანი — ატალანტა
კატანია — სიენა
ბოლონია — სამპდორია

XXVIII ტური, 15 მარტი
პალერმო — ლეჩე
კალიარი — ჯენოა
ატალანტა — ტორინო
ინტერი — ფიორენტინა
სამპდორია — რომა
ლაციო — კიევი
რეჯინა — ნაპოლი
უდინეზე — კატანია
სიენა — მილანი
იუვენტუსი — ბოლონია

XXIX ტური, 22 მარტი
ინტერი — რეჯინა
ლეჩე — ატალანტა
კიევი — პალერმო
ნაპოლი — მილანი
ჯენოა — უდინეზე
კატანია — ლაციოა
ფიორენტინა — სიენა
რომა — იუვენტუსი
ტორინო — სამპდორია
ბოლონია — კალიარი

XXX ტური, 5 აპრილი
სამპდორია — ნაპოლი
იუვენტუსი — კიევი
მილანი — ლეჩე
კალიარი — კატანია
სიენა — ლაციო
რომა — ბოლონია
უდინეზე — ინტერი
რეჯინა — ჯენოა
პალერმო — ტორინო
ატალანტა — ფიორენტინა

XXXI ტური, 11 აპრილი
ლაციო — რომა
ნაპოლი — ატალანტა
ინტერი — პალერმო
კიევი — მილანი
რეჯინა — უდინეზე
ჯენოა — იუვენტუსი
ბოლონია — სიენა
ტორინო — კატანია
ლეჩე — სამპდორია
ფიორენტინა — კალიარი

XXXII ტური, 19 აპრილი
ატალანტა — რეჯინა
სიენა — კიევი
კალიარი — ნაპოლი
პალერმო — ბოლონია
რომა — ლეჩე
ჯენოა — ლაციო
მილანი — ტორინო
იუვენტუსი — ინტერი
კატანია — სამპდორია
უდინეზე — ფიორენტინა

XXXIII ტური, 26 აპრილი
კიევი — უდინეზე
ბოლონია — ჯენოა
ტორინო — სიენა
ლეჩე — კატანია
ფიორენტინა — რომა
სამპდორია — კალიარი
მილანი — პალერმო
ლაციო — ატალანტა
რეჯინა — იუვენტუსი
ნაპოლი — ინტერი

XXXIV ტური, 3 მაისი
კატანია — მილანი
იუვენტუსი — ლეჩე
ფიორენტინა — ტორინო
ინტერი — ლაციო
ჯენოა — სამპდორია
რომა — კიევი
ბოლონია — რეჯინა
პალერმო — კალიარი
სიენა — ნაპოლი
უდინეზე — ატალანტა

XXXV ტური, 10 მაისი
სიენა — პალერმო
ტორინო — ბოლონია
ლეჩე — ნაპოლი
მილანი — იუვენტუსი
ლაციო — უდინეზე
კიევი — ინტერი
კალიარი — რომა
ატალანტა — ჯენოა
სამპდორია — რეჯინა
კატანია — ფიორენტინა

XXXVI ტური, 17 მაისი
ინტერი — სიენა
რომა — კატანია
ფიორენტინა — სამპდორია
რეჯინა — კალიარი
უდინეზე — მილანი
იუვენტუსი — ატალანტა
ბოლონია — ლეჩე
პალერმო — ლაციო
ნაპოლი — ტორინო
ჯენოა — კიევი

XXXVII ტური, 24 მაისი
ატალანტა — პალერმო
კიევი — ბოლონია
კატანია — ნაპოლი
სიენა — იუვენტუსი
სამპდორია — უდინეზე
კალიარი — ინტერი
მილანი — რომა
ტორინო — ჯენოა
ლაციო — რეჯინა
ლეჩე — ფიორენტინა

XXXVIII ტური, 31 მაისი
პალერმო — სამპდორია
უდინეზე — კალიარი
ფიორენტინა — მილანი
ინტერი — ატალანტა
ჯენოა — ლეჩე
იუვენტუსი — ლაციო
რომა — ტორინო
ნაპოლი — კიევი
რეჯინა — სიენა
ბოლონია — კატანია

ბარტონის მეორე შანსი

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა აღნიშნა, რომ ჯოი ბარტონს გუნდი აუცილებლად დაბრუნებს მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ციხიდან გამოვა. ამჟამად ფეხბურთელი მოზარდის ცემის გამო 6-თვიან პატიმრობას იხდის. „მსოფლიოში ბლომადაა ადამიანები, რომელთაც მეორე შანსი დაიმსახურეს და ჯოის ორივე ხელით ჩაეჭიდნენ. უკვე აღვნიშნე, რომ დავეხმარები ბარტონს და ჩემს სიტყვას შევასრულებ. ფეხბურთელი თავისი დანაშაულისთვის სამართლიანად დაისაჯა, ახლა კი დანდობას იმსახურებს“ — განაცხადა „კაჭკაჭების“ დამრიგებელმა.

რუნის მუხლი დაუშავდა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა უეინ რუნიმ „კაიზერ ჩიფსთან“ ამხანაგურ შეხვედრაში ფეხის ტრავმა მიიღო.

„რუნის მუხლი დაუშავდა, რის გამოც შესვენებისას შევცვალე. ვფიქრობ, მომავალ კვირაში რუნი უკვე შეძლებს გუნდთან ერთად ვარჯიშს“ — განმარტა ალექს ფერგიუსონმა, „წითელმა ეშაკუნებმა“ კი ოთხი უპასუხო გოლი გატანეს.

ბოუმა დაშავადა

ჰოლანდიის ნაკრებისა და ბირმინგემის „ასტონ ვილას“ მცველმა ვილფრედ მოუმამ კოჭი ამოიბრუნა და, სავარაუდოდ, სეზონის სტარტს გამოტოვებს. 30 წლის ფეხბურთელისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა გუშინწინდელი მატჩი ინტერტოტოს თასზე დანიურ „ოდენსენთან“, რომელშიც ინგლისელებმა 1:0 გაიმარჯვეს. ჰოლანდიელმა, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებიც გამოტოვოს. შეგახსენებთ, რომ სექტემბერში „ნარინჯისფერებს“ მაკედონიაში გასვლითი შეხვედრა ელით.

კანავარო რეალში დარჩენას არ გამორიცხავს

ფაბიო კანავარო არ არის მადრიდის „რეალში“ დარჩენის წინააღმდეგი. იტალიელის განაცხადებით, თუ ესპანელების მხრიდან დაინტერესებას დაინახავს, კონტრაქტს აუცილებლად გაახანგრძლივებს. კანაგაროს აქამდე არაერთხელ უთქვამს, რომ მშობლიურ „ნაპოლიში“ სურდა კარიერის დასრულება, თუმცა, როგორც ჩანს, ეს უფრო შორეულ პერსპექტივაში რჩება.

მესი ეტოოს შესახებ

„ბარსელონას“ არგენტინელ ვარსკვლავ ლეო მესის იმედი აქვს, რომ საშუალ ეტოო კატალონიურ კლუბში დარჩება.

„მსოფლიოში ასეთი დონის მეორე ცენტრფორვარდი არ არსებობს. ეტოო ყოველთვის უმაღლეს დონეზე თამაშობს, თუნდაც ტრავმა ახლად მოშუშებული ჰქონდეს. საშუალი ჩვენი კლუბის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და სამაგალითო პროფესიონალია“ — აღნიშნა მესიმ.

საზღვ ფრანგები ნადირობენ

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელ ლუი საზე ორი ფრანგული კლუბი ნადირობს — პსჟ და „მონაკო“. დედაქალაქელები კარიერადასრულებული პაულეტას შემცვლელს ეძებენ და ამ მხრივ კონკურენცია მოეგასკებთან მოუწევთ, რომლებიც ასევე აპირებენ ახალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერებას. ლუი საას სავარაუდო ფასი 2 მილიონი გირვანქაა.

ოლეგერი თითქმის აიაქსელია

ამსტერდამის „აიაქსი“ შეუთანხმდა კატალონიურ „ბარსელონას“ ოლეგერ პრესასის თაობაზე. ესპანელი ამსტერდამში სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც 3+1 სქემით დადებს ხელშეკრულებას. ტრანსფერის თანხა შეადგენს 3 მილიონ ევროს პლუს კიდევ 2,25 მილიონი, იმ შემთხვევაში, თუ „აიაქსი“ მომავალ სამ სეზონში ერთხელ მაინც შეძლებს ჩემპიონთა ლიგაში გასვლას.

ბალაკი ჩელსიში ასრულებს

მიხაელ ბალაკი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებს. გერმანიის ნაკრების კაპიტნის განცხადებით, ლონდონის „ჩელსი“ მისთვის უკანასკნელი კლუბი იქნება. შეგახსენებთ, რომ გერმანელი ფეხბურთელი „სტემფორდ ბრიჯზე“ მიუნხენის „ბაიერნიდან“ გადაბარგდა.

ამბიციური პატო

„მილანის“ ბრაზილიელი ფორვარდი ალეშანდრე პატო საკმაოდ ამბიციურად არის განწყობილი მომავალი ოლიმპიადის წინ. ახალგაზრდა ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდება.

„მუდამ გოლებზე ვფიქრობ, მაგრამ მთავარ ოცნებად მაინც გამარჯვებები რჩება. იმედი მაქვს, რომ პეკინში ყოველ მატჩში თითო გოლს გავიტან და შედეგად ექვსი გატანილი ბურთით ოლიმპიადის ბომბარდირი გავხდები“ — თქვა პატომ.

ეშტონი უიკომბში

ინგლისელმა მცველმა ნათან ეშტონმა ლონდონური „ფულემი“ დატოვა და პირველი ლიგის „უიკომბში“ გადაბარგდა. 21 წლის ფეხბურთელმა თავის ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

არჩილ კოგანიძე

კაკა შურიანი არ არის

იტალიური „მილანის“ ლიდერის რიკარდო კაკას აგენტმა გაეტანო პაოლილომ განაცხადა, ჩემი კლიენტი „როსონერიში“ თავს მშვენივრად გრძნობს და არსად წასვლას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ლონდონის „ჩელსი“ და მადრიდის „რეალი“ მასში ძალიან დიდ ფულს იხდიან.

„ჩვეულებრივი ამბავია, რომ „ჩელსისა“ და „რეალის“ დარი დიდი კლუბები კაკასნაირ ფეხბურთელებში ამხელა ფულს იხდიან. როგორც კი ლონდონელებმა რიკი ისურვეს, „რეალი“ დაგვიკავშირდა და გვითხრა, კაკა თუ იყიდება, ჩვენც ვართ დაინტერესებულნიო. „ჩელსის“ ახალ მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის ძალიან უნდა კაკას დამატება, გუნდის მფლობელი რომან აბრამოვიჩი კი ოცნებობს მასზე. ეს ერთადერთი ოცნებაა, რომლის ახდენასაც იგი ვერ ახერხებს. არის თუ არა, მომავალში მაინც, რიკარდოს „ჩელსიში“ გადასვლის შანსი? ეს უკვე „მილანზეა“ დამოკიდებული. თუ „როსონერის“ მფლობელ სილვიო ბერლუსკონის მისი შენარჩუნება უნდა, ძალიან ნაკლებ სავარაუდოა, რომ კაკამ თავად ითხოვოს წასვლის ნება. ის ბედნიერია და გუნდში რჩება“ — განაცხადა პაოლილომ.

ბრიტანულმა და ესპანურმა პრესამ ცნობები გაავრცელა, რონალდინიოს „მილანში“ გადასვლამ კაკაზე ცუდად იმოქმედა, იგი ეჭვიანობს, დინიოს გარშემო ატეხილი აჟიტაჟის შეშურდა და „სან სიროდან“ აბარგებაზე ფიქრობსო. ერთნი ამბობდნენ, ბრაზილიელის მომავალი „ჩელსიაო“, მეორენი კი „რეალიო“.

გაეტანო პაოლილო: „კაკა ყოველთვის ბედნიერი იყო „მილანში“ და ახლაც ასეა. მას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ფანებთან. მისი ოჯახიც ბრწყინვალედ გრძნობს თავს. რიკის მშვენიერი ურთიერთობა აქვს რონალდინიოსთანაც, ისინი მეგობრები არიან და ბრაზილიის ღირსება ერთად მრავალჯერ დაუცავთ. არანაირი პრობლემა და კონფლიქტი არ არის. რაც უფრო ძლიერდება „როსონერი“, მით უფრო უხარია კაკას. ასე რომ, იგი კმაყოფილია რონალდინიოს მოსვლით. ერთადერთი, რაზეც წუხს, ოლიმპიადაა, რომელზეც ვერ მიდის. ბრაზილიას ოქროს მედლები ჯერ არ მოუგია და კაკას ძალიან სურდა ნაკრების დახმარება. რიკი თავდაუზოგავად ვარჯიშობს და „ოქროს ბურთზე“ ფიქრობს. ამჟამად ფავორიტი კრიშტიანუ რონალდუა, მაგრამ ხმების მიცემამდე ჯერ კიდევ სამი თვეა. კაკას მუდამ შორსმიმავალი გეგმები და აზრები აქვს“.

რონალდინიო კი ამასობაში ოლიმპიადისთვის ემზადება და ამბობს, რომ ნელნელა სასურველ ფორმაში შედის. ამჟამად იგი ნაკრებთან ერთად სინგაპურში გადის შეკრებას.

„მილანში“ გადასვლის მერე, თითქოს ხელახლა დავიბადე. დღითიდღე ვაუმჯობესებ თამაშს. დიდი მადლობა მწვრთნელ კარლო ანჩელოტისა და ყველას, ოლიმპიადაზე წასვლის ნება რომ მომცეს. ეს ბრწყინვალე საშუალება იქნება, რომ იტალიის ჩემპიონატის დაწყებისთვის საუკეთესოდ მოვემზადო. ინდივიდუალური პროგრამით ბევრს ვვარჯიშობ, და ვარ სპეციალურ დიეტაზე. ვფიქრობ, ფორმის 100 პროცენტთან. უკვე ძალიან ახლოს ვარ. 7 აგვისტოს, როცა ოლიმპიადა იწყება, უკვე სრულ მზადყოფნაში ვიქნები. ნაკრებში, შესაძლოა, ფორვარდად მომიხდეს თამაში ალეშანდრე პატოს გვერდით. ეს აბსოლუტურად არ არის პრობლემა, რადგან ამ პოზიციაზე უკვე არაერთხელ მითამაშია. თუ ანჩელოტიც მთხოვს იგივეს, მზად ვიქნები. როცა საქმე ნახევარდაცვასა და თავდასხმას ეხება, პრობემა არ არის, ბოლომდე დავიხარჯები“ — თქვა 28 წლის რონალდინიომ.

„მილანზე“ საუბარი მეკარეებით დავასრულოთ. გუნდში ახლა სამი გოლკიპერია — ჟელკო კალაჩი, ნელსონ დიდა და კრისტიან აბიატი. „როსონერის“ გენერალურმა მენეჯერმა ადრიანო გალიანიმ აღნიშნა, რომ ნომერ პირველი მომავალ სეზონშიც კალაჩი იქნება. ავსტრალიელმა რახანია, ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო დიდა, რომელიც აუტანელად ბევრ უხეშ შეცდომას უშვებდა. ბრაზილიელმა კი თქვა, ფორმას და ჩემს ადგილს დავიბრუნებო, მაგრამ...

„გადაწყვეტილია, რომ ძირითადი მეკარე კვლავ კალაჩი იქნება. მეორე ნომერი კი ამ დროისთვის — აბიატი. ველოდებით, როდის ჩადგება ფორმაში დიდა, იგი სარეაბილიტაციო პერიოდს გადის“ — თქვა გალიანიმ.

გიორგი კაკაბაძე

სკუადრა აძურას ახალი მაისურები

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იტალიის ნაკრები 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე განსაკუთრებული ფორმით ითამაშებს. „სკუადრა აძურას“ მაისურაზე მსოფლიოს ჩემპიონატის ლოგო იქნება გამოსახული.

თავკაცის პოსტზე მარჩელო ლიპის დაბრუნების შემდეგ, პირველ მატჩს იტალია 20 აგვისტოს ნიცაში გამართავს, სადაც ამხანაგურად გაეჯიბრება ავსტრიას. თუმცა ამ შეხვედრაში აპენინელები ჩვეულებრივი მაისურებით ითამაშებენ. მსოფლიოს ჩემპიონატის ლოგო კი მათ ფორმაზე 6 სექტემბერს, კვიპროსთან შეხვედრაში გაჩნდება.

„6 სექტემბრიდან ჩვენს მაისურებზე ლოგო გაჩნდება, რომელიც ჩვენს მსოფლიოს ჩემპიონებას აღნიშნავს. ფიფასგან ამის უფლება მივიღეთ. ჩვენი მოგზაურობა 20 აგვისტოს ნიცაში იწყება და იმედია, ბრწყინვალე თავგადასავალი გველის“ — თქვა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ.

გიორგი კაკაბაძე

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

გერმანელთა დამსახურებული ზეიმი

ტყუპები — ლარს და სვენ ბენდერები გერმანიის ჩემპიონობას ზეიმობენ

ფინალი

იტალია 1:3 გერმანია

0:1 ლ. ბენდერი (24), 0:2 სუკუტა-პასუ (61), 1:2 გარიბალდი (77), 1:3 გებჰარდტი (79)

გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატი აქამდე არასოდეს მოეგო და აი, ეს დღეც დადგა. მიუხედავად იმისა, რომ ჰორსტ ჰრუბეშის შეგირდებმა იტალიასთან მატჩის დიდი ნაწილი 10 კაცით ჩაატარეს, მაინც აჯობეს მეტოქეს და სავსებით დამსახურებულად გახდნენ ტურნირის ტრიუმფატორები. ბოლო ახალგაზრდული ტურნირი, რომელიც გერმანიას მოეგო, 16-წლამდელთა 1992 წლის ევროპის ჩემპიონატი გახლდათ.

აპენინელებმა კი თანატოლი გოგონების მიღწევა ვერ გაიმეორეს და ბებერი კონტინენტის პირველობის ნაცვლად, ოდენ მეორეობას დასჯერდნენ.

გერმანია აშკარად საუკეთესო იყო ტურნირზე, მასპინძელ ჩეხეთთან ერთად. ცუდი არც იტალიაზე ითქმის, მაგრამ ფრანჩესკო როკას გუნდს მაინც აკლდა რაღაც — ორგანიზება, ფანტაზია...

იტალია ჯგუფიდან მძიმედ გავიდა და ტურნირის დებიუტანტ უნგრეთთანაც იწვალა ნახევარფინალში. გერმანიამ კი ჯგუფის სამივე მატჩი მოიგო, ჩეხეთთან უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში ოდენ დამატებით დროში, ბოლოსწინა წუთზე გატანილი გოლით მოახერხა გამარჯვება...

შეხვედრის დებიუტში ალბერტო პალოსკის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ მან ვერ იხეირა. მერე ჰორსტ ჰრუბეშის გუნდი გააქტიურდა და ანგარიში ტყუპისცალმა ბენდერმა, ლარსმა გახსნა, მისი ძმის სვენისა და მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე ტიმო გებჰარტის აქტიურობის შემდეგ. მალევე სტეფანო ოკაკა ჩუკას წონასწორობის აღდგენა შეეძლო, მაგრამ სათანადოდ ვერ დაარტყა. 36-ე წუთზე კი გერმანიას კაპიტანი ფლორიან იუნგვირტი გაუძღვეს, ვინც ხუთწუთიან მონაკვეთში ორი ყვითელი ბარათის მიღება შეძლო.

ტაიმის მიწურულმა იტალიელების საგრძნობი უპირატესობით ჩაიარა. თუმცა მათ ვერცერთი მომენტი ვერ გამოიყენეს. გერმანელებმა კი ერთი მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს.

იტალია ჭკვიანურად გადაწყობილ მეტოქეს ვერაფერს უხერხებდა. მეტიც, უფრო მწვავე იერიშები ათკაციან გერმანიას გამოსდიოდა და 61-ე წუთზე სხვაობა გაიზარდა კიდეც — ნაკისა და გებჰარტის კომბინაცია რიჩარდ სუკუტა-პასუმ დააგვირგვინა.

69-ე წუთზე აპენინელებს მატეო ჯენტილი გაუძღვეს და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათ სწორედ ამის მერე შეძლეს გოლის გატანა — ეს 78-ე წუთზე რაჯო გარიბალდიმ მოახერხა. თუმცა იტალიის იმედებს მყისვე ცივი შხაპი გადაასხა გებჰარტმა, ვინაც ნაკის ჩაწოდებულს თავი შეაგება და 3:1.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი 4 გოლით ჩეხი ფორვარდი ტომაშ ნეციდი გახდა. სუკუტა-პასუს ანგარიშზე სამი ბურთია. ხოლო თუ შესარჩევი ეტაპის მატჩებსაც დავურთავთ, მაშინ ბომბარდირი ბერძენი მიხაილ პავლისი გამოდის 7 გოლით, ვინც თითო ბურთით გაუსწრო გებჰარტსა და უნგრელ კრიშტიან ნემეტს.

ჰორსტ ჰრუბეში: „ჩვენ ტურნირის საუკეთესო გუნდი ვიყავით. ამის თქმის საფუძველს ხუთივე სრულებით სამართლიანად მოგებული მატჩი და ჩვენს მიერ ნაჩვენები თამაში მაძლევს. კარგი და დაძაბული ფინალი გამოდგა, ყვითელ-წითელი ბარათებითა და იტალიელთა გვიანი გოლით. თუმცა ჩემმა ფეხბუთელებმა მართლაც საოცრად იბრძოლეს და გამარჯვება დაიმსახურეს. მათ აჩვენეს, თუ როგორ სურდათ მოგება და ამით ამაყი ვარ. ძალიან მიხარია, რომ მე და განსაკუთრებით ბიჭებმა, ამ დიდ წარმატებას მივაღწიეთ. ფეხბურთელებმა ბევრი იშრომეს და მინდა, მადლობა გადავუხადო ამისთვის, მათ გარჯა დაუფასდათ კიდეც“.

„ცხადია, უკმაყოფილო და დამწუხრებული ვარ. ისე არ გვითამაშია, როგორც მე მინდოდა, ეს ჩვენი თამაში არ იყო. გერმანიამ აშკარად გვაჯობა და ეს სამწუხაროა, რადგან მატჩის საკმაოდ დიდი ნაწილის მანძილზე, მეტოქე ათი კაცით იყო, მაგრამ ამით ვერ ვისარგებლეთ. ვულოცავ გერმანიას, რომელიც ნამდვილად უფრო ძლიერი გახლდათ ამ მატჩში. თუმცა ბევრად უკეთ თამაში შეგვეძლო, შესაძლოა, ბიჭებზე მეტისმეტმა ზეწოლამ იმოქმედა. ფინალამდე ოთხი კარგი მატჩი ჩავატარეთ, დღითიდღე ვუმატებდით და მთლიანობაში ცუდი ტურნირი არ გვქონია, თან ჩემპიონატი მაღალი კლასისა გამოდგა, ფეხბურთელებმა საჭირო გამოცდილება მიიღეს, რაც მომავალში მათი წარამატებულად თამაშის იმედს იძლევა“ — თქვა როკამ.

გიორგი კაკაბაძე

კარლიტოს გზა

ტევესი შევჩენკოს გადაახტა

32 მილიონი გირვანქა — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 24 წლის კარლოს ტევესში ბრიტანეთისთვის სარეკორდო ფასი გადაიხადა.

აქამდე ყველაზე ძვირი 30-მილიონიანი ანდრეი შევჩენკო იყო.

არგენტინელი ფორვარდი „ვესტ ჰემიდან“ შარშან ორი წლით ითხოვეს გამოსყიდვის უფლებით და ახლა დაისაკუთრეს.

ტევესმა წინა სეზონში 48 მატჩი ითამაშა, 19 გოლი გაიტანა, ინგლისის ჩემპიონიც გახდა და ჩემპიონთა თასის მფლობელიც.

ტევესი ირანელი ბიზნესმენის კია ჯურაბჩიანის კომპანია „მედია სპორტს ინვესტმენტს“ ეკუთვნოდა, რომელმაც 2005-ის ზაფხულში „ვესტ ჰემის“ შეძენა ამაოდ სცადა.

ეს კომპანია ლონდონშია დარეგისტრირებული და 2004 წლიდან ბრაზილიურ „კორინთიანსს“ პატრონობს. ამის შემდეგ კლუბმა „ბოკა ხუნიორსიდან“ 20 მილიონ დოლარად (სამხრეთ ამერიკის რეკორდი) კარლოს ტევესი შეიძინა და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. არგენტინელს ხუთი სეზონის განმავლობაში 10 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

2006-ის 31 აგვისტოს, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, კარლოს ტევესმა განაცხადა, რომ ხავიერ მასკერანოსთან ერთად „ვესტ ჰემში“ გადავიდა.

ეს ტრანსფერი პრემიერლიგამ გამოიძია, წესის დარღვევა აღმოაჩინა და შარშან აპრილში „ვესტ ჰემი“ 5 მილიონ 500 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

კარლოს ტევესის კარიერა 1992 წელს არგენტინის მეორე ლიგის „ოლდ ბოისში“ დაიწყო, 1997-ში კი „ბოკა ხუნიორსმა“ იყიდა და 2001 წლიდან პირველ გუნდში თამაშობდა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენწლიან კონტრაქტს გააფორმებს ფორვარდი „მანჩესტერთან“. მას ნათქვამი აქვს, რომ კარიერის დასრულება 28 წლისას სურს

ბრიტანეთის უძვირესი ტრანსფერები:

კარლოს ტევესი 32 მილიონი—



„ვესტ ჰემიდან“ „მანჩესტერში“

ანდრეი შევჩენკო 30 — „მილანიდან“ „ჩელსიში“

რიო ფერდინანდი 29 — „ლიდსიდან“ „მანჩესტერში“

ხუან ვერონი 28 — „ლაციოდან“ „მანჩესტერში“

უეინ რუნი 27 — „ევერტონიდან“ „მანჩესტერში“

ვაჟა ხუციშვილი

ანტიკატენაჩო

„ლივერპულის“ იტალიელმა მცველმა ანდრეა დოსენამ „კატენაჩო“ აძაგა. დოსენა პრემიერლიგის კლუბში „უდინეზედან“ გადავიდა და „წითლების“ ქომაგებს შეპირდა, რომ მხოლოდ დაცვაში არ გამოიკეტება და შეუტევს.

ფეხბურთელი უკმაყოფილოა იმით, რომ ზოგ იტალიურ გუნდს საკუთარ ნახევარზე გამოკეტვა სჩვევია და მინიმალური სხვაობით მოგებაზეც თანახმაა.

„მე კატენაჩოს თაყვანისმცემელთა სიაში არ ვარ — ბრძანა იტალიელმა — ეს საჩემო საქმე არაა. ერთბურთიანი სხვაობით რომ იგებ და ბოლო წუთზე გოლს გაუშვებ, მერე?

ვერ ვიტან, დროის გასაყვანად ბურთს რომ ასეირნებენ. ზოგჯერ კი ნამეტანი მოსდით, როცა მთელ იტალიურ ფეხბურთს დაცვითად ნათლავენ.

მაგალითად, მე მცველი ვარ, მაგრამ შეტევა მიყვარს. 1:0 მოგება არ მაკმაყოფილებს. მუდამ მოსაგებად ვარ მომართული და მსიამოვნებს, როცა ჩემს გუნდს ბევრი გოლი გააქვს“.

ვაჟა ხუციშვილი



ანდრეა დოსენა



მუნტარი ლამპარდს არ გამორიცხავს

მაურინიუ: სწავლა, სწავლა და სწავლა

სულეი ალი მუნტარი „ინტერში“ გადასვლასთან ძალიან ახლოსაა, ბევრი განელი უკვე მილანელთა ფეხბურთელადაც კი მოიხსენიებს, მაგრამ ოფიციალური დასტური ჯერ არ ჩანს, ბოლო წამს ჩაშლილი ტრანსფერი კი ბევრი გვახსოვს, ამიტომ მისი „ნერაძურელად“ შერაცხვისგან თავი ჯერ მაინც შევიკავოთ. 24 წლის განელი, რომელიც „პორტსმუთში“ ერთი წლის წინ „უდინეზედან“ 7 მილიონ გირვანქად მივიდა, ახლა 12 მილიონად გადადის „ინტერში“.

„ნერაძურის“ ხელმძღვანელობა კი, როგორც ჩანს, ფრენკ ლამპარდის ყიდვის იმედს კვლავ არ კარგავს — მუნტარი რომც დავიმატოთ, ეს ლამპარდს ავტომატურად არ გამორიცხავსო.

„არსებობს კლუბები, რომელთა შემოთავაზებას გვერდს უბრალოდ ვერ აუვლი, სწორედ ერთ-ერთი მათგანია „ინტერი“. „პორტსმუთის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა მნიშვნელოვნად დამხვეწა, ჩემთვის მამასავით იყო და ძალიან მიყვარს. თუმცა ერთხელ უკვე გავუშვი ხელიდან სუპერკლუბში, კერძოდ კი „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშის შანსი და არ მინდა, ეს მეორედ მოხდეს“ — თქვა მუნტარიმ.

„ინტერის“ დირექტორი ერნესტო პაოლილო: „ვნახოთ, რა მოხდება უახლოეს დღეებში. მოლაპარაკებები არ დასრულებულა. თუმცა ფაქტია, რომ ლამპარდის გარეშეც ძალიან ძლიერი გუნდი გვეყოლება“.

„იტალიაში უამრავი ბრწყინვალე ტაქტიკოსია და აქ სასწავლად ვარ, იმისთვის კი არა, რომ ვიპროფესორო. ნამდვილად გამაღიზიანებლები არიან ისინი, ვისაც ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან. მე კი ყოველდღე რაღაც ახლის გაგება და შესწავლა მინდა, ასეთი ადამიანი ვარ. ძალიან მახარებს, რომ სერია B-ს დარ ჩინებულ ჩემპიონატში მუშაობა და დიდებულ სპეციალისტებთან შერკინება მომიწევს. იმ დღეს, როცა ჩავთვლი, რომ ყველაფერი ვიცი და ველარაფერს ვისწავლი, მწრთნელობას თავს დავანებებ“ — თქვა „ინტერის“ დამრიგებელმა ჟოზე მაურინიუმ.

პორტუგალიელმა სპეციალისტმა მომავალ ამხანაგურ მატჩებზეც ისაუბრა და აღნიშნა, ჯერ ბოლომდე მზად არ ვართო.

ჟოზე მაურინიუ: „გუნდი დღითიდღე უმატებს. ფიზმომზადების მხრივ, შესაძლოა, მაღალ დონეზე ჯერ არ ვართ, რაც ალბათ სამშაბათს „იუვენტუსთან“ ამხანაგურ მატჩშიც გამოჩნდება. ტურინელები უკვე სამი კვირაა, ვარჯიშობენ. ჩვენი მიზანი კარგად თამაში კი არა, სეზონის სადებიუტო მატჩებში თავის გამოჩენა და მათი მოგებაა. მჯერა, იმ დროისთვის ბოლომდე მზად ვიქნებით. ვფიქრობ, ზოგჯერ კარგიცაა, ცუდად რომ თამაშობ. ეს საშუალებას გაძლევს, მეორე დღეს საკუთარ თავზე იმუშავო და შეცდომები გამოასწორო. ისიც მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ მომენტში შენზე ძლიერ გუნდებს შეხვდე, ეს ზრდის საშუალებას გაძლევს. სწორედ ამიტომ დავნიშნეთ ამხანაგურები „იუვენტუსთან“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება. ასევე „ბენფიკასა“ და „ბაიერნთან“, რომლებსაც სეზონი მალე ეწყებათ. არ მინდა ამხანაგური, რომელსაც 10:0-ს მოვიგებთ და პრესა დაწერს, მაურინიუს „ინტერმა“ ბრწყინვალედ ითამაშაო. მიზანი თამაშის ეტაპობრივად გაუმჯობესებაა“.

შეგახსენებთ, რომ მაურინიუმ პრესასა და ქომაგებში პირველი სერიოზული აჟიოტაჟის გამოწვევა უკვე მოასწრო, როცა „ინტერის“ პირველი ვარჯიში დახურა — სხვა გუნდის სკაუტები არ მინდა დაგვესწრონო, რითაც გულშემატკივრების უკმაყოფილება გამოიწვია.

„ტიზოფების ვნებისა და მხურვალე ქომაგობის მესმის, მაგრამ მათ უნდა გაიგონ, რომ ზოგჯერ გუნდს იზოლაცია სჭირდება. ჰოლივუდის ყველა ფილმის მოკლე ვერსიის წინასწარ ნახვა შეუძლებელია, ფილმის გამოსვლამდე მოცდა და ბილეთის ყიდვა გიწევს. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, აქ თავს კარგად გრძნობს. იგი ბრწყინვალე პარტნიორია მწვრთნელისთვის, მას ფეხბურთი არ აინტერესებს და, შესაბამისად, არ უყვარს მასზე ლაპარაკი. ამიტომ, სახლში რომ ვბრუნდები, ჩემს სამუშაოზე ნამდვილად არ ვსაუბრობთ“ — დასძინა მაურინიუმ.

გიორგი ძაძაგაძე

კლაას იან ჰუნტელაარი

რომას კანდიდატები

იტალიურმა „რომამ“ ადრიან მუტუზე ხელი ჩაიქნია. როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი მართლაც აღარ შედგება და „გლადიატორებს“ სხვა თავდამსხმელის პოვნა მოუწევთ. ახლა საუბარი ჰოლანდიის ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის“ ფორვარდ კლაას იან ჰუნტელაარზეა.

„ვფიქრობ, მუტუს თაობაზე მოლაპარაკებები დასრულდა. ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, მაგრამ ისე ჩანს, რომ სხვა თავდამსხმელი უნდა ვეძებოთ. თუმცა სრულიად მშვიდად გავაგრძელებთ მუშაობას და ყველაფერს კარგად გავაანალიზებთ, პანიკური და ნაჩქარევი ტრანსფერები არ იქნება. ორი ახალი ფეხბურთელი გვინდა, რათა გუნდი ბოლომდე დავაკომპლექტოთ. ჟულიუ ბაპტიშტაზე არასოდეს მილაპარაკია, იგი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ნახევარდაცვაში საქმე ისედაც მშვენივრად გვაქვს. ჰუნტელაარი ჩინებული ფორვარდია, ვნახოთ...“ — თქვა „ჯალოროსის“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

ბოლო ინფორმაციით, რომაელთა სატრანსფერო სიას ბაიერნელი ლუკაშ პოდოლსკი და ვალენსიელი დავიდ სილვაც დაემატნენ.

სპალეტიმ კი ალბერტო აკვილანიზეც ილაპარაკა, რომელმაც, შესაძლოა, გუნდი დატოვოს, რადგან კლუბთან ახალ კონტრაქტზე ვერ შეთანხმდა. მისი მთავარი მსურველი „იუვენტუსია“ და ამბობენ, ტურინელები ახალგაზრდა ნახევარმცველში კარგ ფულსაც გადაიხდიანო.

„აკვილანი მნიშვნელოვანი ფიგურაა, ისევე, როგორც სხვები. თუმცა, შესაძლოა, ალბერტო ცოტა გამოვარჩიოთ კიდეც, რადგან ძალიან მნიშვნელოვან პოზიციაზე თამაშობს და ახალგაზრდაა. მჯერა, იგი რჩება, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ადამიანები ხშირად იცვლიან აზრს და ფული დიდ როლს თამაშობს. თუ კლუბი მოდის და დიდ თანხას იხდის ფეხბურთელში, ბევრს ვერაფერს იზამ“ — დასძინა სპალეტიმ.

სხვათა შორის, „გლადიატორები“ სტუმრად ბუქარესტის „სტიაუასთან“ ამხანაგურ შეხვედრაში 1:3 დამარცხდნენ. 0:3-ზე „რომას“ ერთადერთი გოლი მირკო ვუჩინიჩმა გაიტანა ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით.

ძოძი ძანდელაძე

მუტუ ახტა და დარჩა



ფლორენციის „ფიორენტინას“ ხელმძღანელობამ დაიწუწუნა, სერია A-ს პირველ ტურში რაღა მაინცდამაინც „იუვენტუსს“ ვხვდებითო. მეორე ტურში კი „იებს“ „ნაპოლისთან“ ელით რთული გასვლა. როგორც იცით, აგვისტოს შუაში ჩემპიონტა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებია და ფლორენციელები შიშობენ, რომ მოკლე მონაკვეთში ამდენი მნიშვნელოვანი მატჩის სათანადო დონეზე ჩატარებას ვერ შეძლებენ.

სხვათა შორის, „ფიორენტინას“ სერია A-ს ბოლო ტურიც მძიმე აქვს — „მილანს“ მასპინძლობს.

„რთული კალენდარი გვავქს, ისეთ ძლიერ გუნდთან თამაშით ვიწყებთ, როგორიც „იუვეა“. მოკლე მონაკვეთში ამდენი რთული მატჩის ჩატარება გაგვიჭირდება. თუმცა ახლა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვფიქრობთ, ეს მატჩები ჩვენთვის სეზონში უმნიშვნელოვანესია“ — თქვა „იების“ მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ.

ამასობაში, „ფიორენტინამ“ დანიელ პაბლო ოსვალდოს ერთადერთი გოლით მოუგო ამხანაგური შეხვედრა „ფილინეს“.

საინტერესო კი ის გახლდათ, რომ ადრიან მუტუ, რომლის „რომაში“ შესაძლო გადასვლაზეც სერიოზული ლაპარაკი იყო, მინდორზე მეორე ტაიმში გავიდა და ფანები მას ტრანსფარანტით დახვდნენ: „თუ არ ახტები, ესე იგი, „ჯალოროსი“ ხარ“. რუმინელიც ადგა და ახტა, რითაც ქომაგები გაახარა და ალბათ მიანიშნა, ვრჩებიო. ბოლო 15 წუთის განმავლობაში მას კაპიტნის სამკლავურიც ეკეთა...

„მომეწონა, როგორ ვითამაშეთ ფლანგებზე. ვცდილობდით, ბურთი მუდამ ჩვენთან ყოფილიყო და ასე გვეკონტროლებინა თამაშის მსვლელობა. ხან კარგად გამოგვდიოდა, ხან საშუალოდ. ნდიაიე პაპა-ვაიგომ მითხრა, ძალიან ვიხალისე და მომეწონა მცველად თამაშიო. ჰოდა, კიდევ ერთხელ მოვსინჯე ეს ბიჭი ამ პოზიციაზე“ — განაცხადა პრანდელიმ.

პარალელურად, „იებს“ არ გამოსდით ხელში ნიკოლას ბურდისოს ჩაგდება და გავრცელებული ცნობით, ყურადღება მარკო ბაზაზე გადაიტანეს. 25 წლის სერბი ფრანგულ „ლე მანში“ ირიცხება.

ძოძი ძანდელაძე

ლუის სესარ მენოტი: გაგვბაში არა ხართ!



მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი, 69 წლის ლუის სესარ მენოტი თანამედროვე ფეხბურთზე გაბრაზებულია — მიაჩნია, რომ მესი „15-მეტრიანი“ ფეხბურთელია, აგერომ არ იცის, რა აკეთოს მოედნის ცენტრში, რონალდინიო საკუთარ ფიზტებში გაიხლართა, კაკა კი რიტმში ვერ ჯდება. მხცოვანი არგენტინელის ინტერვიუ მადრიდის „რეალის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. მენოტი ბოლოს მექსიკის „ტეკოსში“ მუშაობდა და კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოების გამო გასულ იანვარში გუნდიდან წავიდა

— რატომ ფიქრობთ, რომ „ბარსელონამ“ წინა სეზონში კარგად ვერ ითამაშა?

— ეს მხოლოდ „ბარსას“ არ ეხება. ზოგადად, დღევანდელ ფეხბურთში ბევრი პრობლემა დახვავდა. თუ გუნდურ თამაშზე ვსაუბრობთ, მაშინ თანამედროვე ფეხბურთელთა 90-მა პროცენტმა თამაში არ იცის.

— მესიმაც? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ტექნიკით სხვებისგან გამოირჩევა.

— მესიმაც, მაგრამ მას ერთი უპირატესობა აქვს — შეტევის ბოლო ფაზაში ზღაპრულია. ალბათ ესაა მისი ერთადერთი ღირსება.

ჩემთვის მესი დიდებული ფეხბურთელია ბოლო თხუთმეტ მეტრზე, მაგრამ სანამ კარამდე თხუთმეტი დარჩება, ბევრჯერ ცდება.

მთავარი შეცდომა ისაა, რომ ერთსა და იგივე ფინტს იყენებს მოედნის ცენტრშიც და საჯარიმოშიც.

ამ ფინტების მიზანია გზად ყველა მეტოქის ჩამოცილება. მე ვამბობ, რომ თუ მოედნის ცენტრში ფინტი არ გამოგდის, გონება უნდა გეყოს, პასით ითამაშო და თანაგუნდელს გაეხსნა, ნაცვლად იმისა, რომ 11 მოწინააღმდეგის მოტყუება სცადო.

— ფიქრობთ, რომ მესი კიდევ დაიხვეწება? ადრე თუ გვიან მის ამოკეტვასაც ხომ შეძლებენ...

— გასაგებია, რომ სწავლა მოუწევს. ჯერ ხომ 21 წლისაა და მისგან იმდენივეს ვითხოვთ, რასაც დი სტეფანოსგან, ვინც „რეალში“ 27 წლის მივიდა და ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრებდა „რივერ პლეიტიდან“, „მილიონარიოსიდან“... თუ მესი არ ისწავლის, მისთვის იქნება უარესი.

ამას ამბობდა იოჰან კრუიფი რონალდინიოზე, რომელმაც დიდი ნიჭის მიუხედავად, შეცდომებით საკუთარ თავს ავნო.

— რონალდინიო „გაცოცხლდება“?

— კი, მაგრამ უნდა შეიგნოს — ფინტებით ფონს ყოველთვის ვერ გახვალ და მთავარი მაინც გუნდურობაა.

— რას გულისხმობთ?

— ეს ნიშნავს, რომ თუ ფეხბურთელი ავანტიურაზე მიდის და თავბრუდამხვევ ფინტებს აკეთებს, უნდა შეძლოს გუნდის რიტმში დაბრუნება, მიუხედავად იმისა, კარგად დასრულდება მისი ფინტაობა, თუ ცუდად.

ეს ემართება კაკასაც, რომელსაც საკუთარი რიტმი ურჩევნია გუნდისას. ამიტომაც ის ვერასოდეს ვერ შევა „დიდ ოთხეულში“.

— სერხიო აგეროსაც ეს ნაკლი აქვს?

— რა თქმა უნდა — მორიგი „მესია“, ბოლო ოც მეტრში ძალიან მაგარი, მაგრამ მოედნის ცენტრში საშუალო ფეხბურთელია.

— მწვრთნელებზე რას ფიქრობთ?

— რა არის მწვრთნელის მუშაობა? ვარჯიშზე ორი საათი სასტვენით პირში სიარული? რა თქმა უნდა, არა!

ჩემთვის მხოლოდ ეს არსებობს — ფეხბურთელი, რომელიც ან კარგად მუშაობს ან ვერა. ამეორებინებენ ფეხბურთელებს ვარჯიშებზე ერთსა და იგივეს, რასაც იქამდე მივყავართ, რომ მოთამაშე ვარჯიშის მიზანს ვეღარ იგებს.

მაკვირვებს ის ტექნიკური პერსონალი, რომელიც სქელ ბლოკნოტს რაღაცით ავსებს. რას ინიშნავენ?

მილიონებს გადავიხდიდი ამ ჩანაწერების წასაკითხად. ნეტავ, რა წერია, რომელ საათზე უნდა მიიყვანონ შვილი კბილის ექიმთან, თუ იმ ტელეგადაცემის დრო, რომელსაც უნდა უყურონ? ნამდვილად არ მესმის.

— რას იტყვით თქვენს საყვარელ ფეხბურთელ ანდრეს ინიესტაზე?

— ჩემთვის „ბარსა“ არის ინიესტა და კიდევ ათი ფეხბურთელი. ის არასოდეს არ წუწუნებს და ემოციურიც არაა.

სახის გამომეტყველებით კლერკს წააგავს და ეს ვნებს. ერთხელ თავი უნდა გაიგიჟოს, მაგალითად, ვიღაცას განგებ ჰკრას ბურთი, რომ იქნებ ამის მერე უფრო პატივცემული გახდეს.

— ფრანკ რაიკარდის შეცვლა „ბარსას“ წაადგება?

— თუ კლუბს შიგნიდან არ იცნობ, ამაზე საუბარი ძნელია. მწვრთნელებმა ვიცით, რომ არსებობს ათასი გარემოება, რომელიც ჩვენს სამუშაოზე მოქმედებს.

„ბარსელონამ“ მის ხელში თავიდან კარგად ითამაშა, შარშან კი ვერ გეტყვით, რა დაემართა.

ზოგჯერ მგონია, რომ რაიკარდსაც იგივე მოუვიდა, რაც ბევრ ახალგაზრდა მწვრთნელს, რომლებსაც თავიდან ორი პიჯაკი ჰქონდათ, მერე კი გამდიდრდნენ. არჩევანის საშუალება გაუჩნდათ და თავგზა აერიათ.

შესაძლოა, ფეხბურთელების დიდმა არჩევანმა დააბნია. ჯერ რონალდინიო, დეკუ და ხავი ჰყავდა, მერე ანრი, მესი, კრკიჩი და ინიესტაც გამოჩნდნენ.

— ფეხბურთს ხშირად უყურებთ?

— კი, მაგრამ ხანდახან ნერვებს მიშლის. მიმძიმს ამდენი აშკარა უვიცობის გადატანა, რითაც ეს სპორტი გაივსო.

აღრეულია ცნებები, მაგალითად ტაქტიკა და სტრატეგია. ელემენტარული რამეები არ ესმით.

მხოლოდ იმდენი იციან, რომ როგორმე საჯარიმოში შეაღწიონ. ძალიან ცოტას თუ შეუძლია რაიმე ორიგინალურის მოფიქრება. ადრე ზიდანი იყო ასეთი, ახლა ინიესტაა.

— რა აკლია დღევანდელ ფეხბურთს?

— ამტკიცებენ, რომ მოედანზე თავისუფალი სივრცეები აღარაა და სულ უფრო მცირდება. ტყუილია. მოედანი ადრინდელივით 7 000 კვადრატული მეტრია და ბურთიც ძველებურად, ფეხბურთელებზე სწრაფია.

პრობლემა ისაა, რომ თამაშისას რაღაცის შექმნა სამი-ოთხი ფეხბურთელისთვის გახდა სავალდებულო. ყველაფერი უკულმაა, ყირამალა დადგა, არადა მთელი გუნდის ძალისხმევა და თავდადებაა საჭირო დაკარგული ბურთის დასაბრუნებლად. მაგრამ ყველანი თამაშობენ? არა და არა! მხოლოდ რამდენიმესგან ითხოვენ თამაშს.

— ეს ძალიან გადარდებთ?

— ბოლო შთაბეჭდილებიდან მოგახსენებთ: რა ხდება ინგლისის ნაკრებში? მათ ფედერაციას წერილი უნდა მივწერო. ადრე საინტერესოდ თამაშობდნენ, სწრაფი პასებით, ახლა კი თვითონაც არ იციან, სად არიან. დაუჯერებელია, რომ ეს ინგლისში ხდება.

ერიკსონიდან დაწყებული და ახლა კაპელოს ხელშიც მოსაწყენ, რაღაც საშინელ ფეხბურთს აჩვენებენ.

ერთადერთი კარგი ნაკრები ევროპაში ამჟამად ესპანეთია და აკი ევროპის ჩემპიონებიც გახდნენ.

— რას ელით გუტისგან? მასაც ხომ ინიესტასავით აფასებთ...

— არ ვიცი, შეუძლია თუ არა გუტის, წინააღმდეგობა გაუწიოს მტრულ გარემოს. რაღაცით რიკელმეს მაგონებს — ეს ორნი სულ ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ საუკეთესოები არიან, მაგრამ მწვრთნელები ყოველთვის ეჭვით უყურებენ და არ ენდობიან ბოლომდე.

— ბერნდ შუსტერის ხელშიც იშვიათად თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში...

— ჩემი აზრით, შუსტერმა გასული სეზონის განმავლობაში „თავისი თერთმეტი“ ვერ იპოვა. არ ვიცი, ეს მისი პრობლემაა თუ ფეხბურთელების კლასისა, რომლებმაც მწვრთნელის იდეები ვერ გაიგეს.

გუნდში რა ხდება, გარედან არ ჩანს, მაგრამ რეალურად, „რეალმა“ გასულ სეზონში ძალიან ცუდად ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონი გახდა.

— თქვენი აზრით, დიარა „რეალისთვის“ სასარგებლო ფეხბურთელია?

— როგორც საყრდენი ნახევარმცველი, თავის საქმეს კარგად ასრულებს. ამ ბიჭს გუტისავით თამაში რომ მოსთხოვონ, იგივეა, რომ მე პაკო დე ლუსიასავით გიტარაზე დაკვრა მთხოვონ. მგონი, დიარა და გუტი ნახევარდაცვის ცენტრში ურიგო წყვილი არ იქნება.

— შუსტერი სწორად მოიქცა, რომ „რეალში“ დარჩა?

— არ მეეჭვება, რომ „რეალის“ მწვრთნელობას იმსახურებს. გუნდის გასაძლიერებლად დრო სჭირდება და ახლა სწორედ ის დროა, რომ გაარკვიოს, რა სურს და საით მიდის.

— პრობლემა ისაა, რომ მწვრთნელები უნდა დაკმაყოფილდნენ იმით, რასაც კლუბის პატრონი შესთავაზებს...

— მე თუ სახლის აშენებას ვაპირებ, არქიტექტორს სტილს ვუკვეთავ, იმას კი არ ვეუბნები, აგური როგორ დაალაგოს და როგორ დაიწყოს შენება. იგივეა კლუბის პრეზიდენტის და გუნდის თავკაცის ურთიერთობაშიც.

თუ პრეზიდენტი მწვრთნელს ქირაობს, უნდა მისცეს სრული თავისუფლება და პასუხისმგებლობაც დააკისროს.

ყოველ შემთხვევაში, პატრონმა მწვრთნელის იდეას პატივი უნდა სცეს. თუ მას მესის ყიდვას სთხოვენ, გატუზო არ უნდა უყიდოს. ეს ხომ სისულელე იქნება.

— ფერნანდო გაგოს პერსპექტივა აქვს?

— ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი. ტექნიკა არ აკლია და ცოდნაც გამოცდილებასთან ერთად მოვა. მას მხოლოდ საყრდენობა შეუძლია და სხვა პოზიციაზე თავის ნაჭუჭში ვერ იქნება, ისევე, როგორც იგუაინი. იგუაინი ძალიან ნიჭიერი ფორვარდია, მაგრამ გუნდის ინტერესებს ემსხვერპლა.

— როგორი ფორვარდი მოუხდება „რეალს“?

— ეს შუსტერის გადასაწყვეტია, მე კი კლოზე მომწონს, რომელმაც პასიც იცის, გოლიც და თავითაც კარგად თამაშობს. ან დროგბა — უფრო ძალისმიერი მეგოლე. მოკლედ, მწვრთნელის ფილოსოფიაზეა დამოკიდებული.

— ერთხელ კარლოს ბილარდომ თქვა, რომ „ბილარდისმო“ აღარ არსებობს. „მენოტისმო“ არსებობას აგრძელებს?

— „მენოტისმო“ არც არასოდეს არსებობდა. სინამდვილეში, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატზე გამარჯვების ფაქტს ყოველთვის არგუმენტად ვიყენებდი, რათა საკუთარი საფეხბურთო ფილოსოფია დამეცვა.

ფილოსოფია, რომელსაც არგენტინაში დიდად აფასებენ. დარწმუნებული ვარ, რომ იმას, რაც ვთქვი ან გავაკეთე, დადებითი შედეგიც მოჰყვა და უარყოფითიც. მეტი არაფერი. „მენოტისმო“ არ არსებობდა, ეს პრესის შეთხზულია, ისევე, როგორც ესპანეთში, მაგალითად, მენოტი-კლემენტეს სტილი.

ვაჟა ხუციშვილი

ლუის სესარ მენოტი — 1978

რუსეთი

პრემიერლიგა. XV ტური

ხიმკი 2:0 ნალჩიკი

1:0 შოავა (22პ), 2:0 პილიპჩუკი (52)

რუბინი 0:0 ცსკა

დინამო 1:0 ზენიტი

1:0 კ. კომბაროვი (88)

ამკარი 0:0 ტომი

მოსკვა 0:3 ლოკომოტივი

0:1 ოდემვინგი (8), 0:2 გლუშაკოვი (32), 0:3 ოდემვინგი (56)

სპარტაკი 3:0 ლუჩ-ენერგია

1:0 კოვაჩი (39), 2:0 პრუდნიკოვი (66), 3:0 მოცარტი (89პ)

შინიკი 1:1 ტერეკი

0:1 კულიკი (27), 1:1 ხაზოვი (81)

კრილია — სატურნი

ზეგ გაიმართება

რუბინი	15	8	5	2	19:11	29
ამკარი	15	8	3	4	18:11	27
დინამო	15	8	3	4	22:17	27
ლოკომოტივი	15	6	6	3	22:15	24
სპარტაკი	15	6	6	3	27:23	24
ცსკა	14	5	5	4	19:15	20
ნალჩიკი	15	6	2	7	16:19	20
კრილია	14	4	7	3	18:14	19
ტომი	15	5	4	6	14:19	19
ზენიტი	13	4	6	3	22:15	18
ტერეკი	14	5	3	6	13:18	18
სატურნი	14	4	5	5	15:11	17
მოსკვა	15	3	7	5	14:17	16
ლუჩ-ენერგია	15	2	6	7	10:20	12
შინიკი	15	2	5	8	15:25	11
ხიმკი	15	2	5	8	20:34	11

უკრაინა

ვიშა ლიგა. II ტური

დნიპრო — დინამო 1:3; არსენალი — კრივბასი 1:1; მ. დონეცკი — ჩერნომორეცი 1:0; ვორსკლა — ზარია 0:1; ილიჩევეცი — ლვოვი 2:0; კარპატი — შახტარი 1:1; მ. ზაპოროჟიე — ხარკოვი 0:0. მეტალისტი — ტავრია ზეგ გაიმართება

შვედეთი

ალსვენსკა. XVI ტური

გეფლე — გიოტებორგი 0:1; ჰალმსტადი — ტრელებორგი 0:0; იურგორდენი — ჰელსინგბორგი 1:2; მალმიო — კალმარი 3:2. აიკ — ლიუნგსკილე, გაის — სუნდსვალი და იორებრო — ჰამარბი დღეს გაიმართება, ნორჩიოპინგი — ელფსბორგი კი ზეგ

კალმარი	16	11	2	3	37:16	35
ელფსბორგი	15	9	4	2	21:5	31
ჰელსინგბორგი	16	9	4	3	29:18	31
გიოტებორგი	16	8	5	3	24:14	29
ჰამარბი	15	8	4	3	23:16	28
აიკ	15	7	4	4	18:15	25
მალმიო	16	6	6	4	25:23	24
ჰალმსტადი	16	5	6	5	19:18	21
გაის	15	4	8	3	16:14	20
იურგორდენი	16	4	6	6	15:23	18
ტრელებორგი	16	4	5	7	14:17	17
იორებრო	15	4	3	8	8:20	15
სუნდსვალი	15	3	4	8	15:22	13
ლიუნგსკილე	15	4	1	10	13:26	13
გეფლე	16	3	2	11	10:23	11
ნორჩიოპინგი	15	1	4	10	13:30	7

სუპერეტა. XVI ტური

დეგერფორსი — ვასბი 1:4. ატვიდაბერგი — სირიუსი, ლანდსკრონა — ქუდინგი და ასირისკა — მჯუნი დღეს გაიმართება, მალბი — ბრომაპოიკარნა და ფალკენბერგი — ენჩიოპინგი ხვალ, ანგელჰოლმი — ბანკეფლო და იორგრიტე — იონჩოპინგი კი ზეგ

ისლანდია

I დივიზიონი. XIII ტური

აკრანესი — ჰაფნარფიორდური 2:5; გრინდავიკი — ვალიური 3:5. ფილკირი — კეფლავიკი, კოპავოგური — ფრამი და თროტური — ბრეიდაბლიკი დღეს გაიმართება

ინტერტოტოს თასი 2008

მესამე ეტაპი. საპასუხო მატჩები

ტავრია (უკრაინა) 1:0დ.დ.(პენ.9:10, 1:0) *რენი (საფრანგეთი)* (0:1)

ასტონ ვილა (ინგლისი) 1:0 ოდენსე (დანია) (2:2)

ვასლუი (რუმინეთი) 2:0 ნეფთჩი (აზერბაიჯანი) (1:2)

ჩერნომორეცი (ბულგარეთი) 0:1 *გრასჰოპერი (შვეიცარია)* (0:3)

ბრაგა (პორტუგალია) 3:0 სივასფორი (თურქეთი) (2:0)

ჰონვედი (უნგრეთი) 1:2 *შტურმი (ავსტრია)* (0:0)

დეპორტივო (ესპანეთი) 1:0 ბნეი სახნინი (ისრაელი) (2:1)

ნაპოლი (იტალია) 1:0 პანიონიოსი (საბერძნეთი) (1:0)

რუსენბორგი (ნორვეგია) 2:0 ბრედა (ჰოლანდია) (0:1)

რიგა (ლატვია) 0:0 *ელფსბორგი (შვედეთი)* (0:1)

შტუტგარტი (გერმანია) 3:0დ.დ.(1:0) სატურნი (რუსეთი) (0:1)

ამხანაგური მატჩები

26 ივლისი

ჩენგდუ — ჩელსი 0:7; ტვენტე — ოლიმპიაკოსი 2:0; მაგდებურგი — ჰერტა 2:4; აკრინგტონი — ბარნსლი 0:3; ალდერშოტი — ლეიტონი 0:1; ბარნეტი — ლიდსი 0:2; ბორნმუთი — ბრისტოლი 0:1; ბრაიტონი — ჩარლტონი 0:1; ბერი — უენსდი 0:0; კარლაილი — პრესტონი 2:2; ქრიუ — ჰალი 4:0; დონკასტერი — ნიუკასლი 1:0; დორდრეხტი — ფეიენოორდი 1:1; ჯილინგემი — ბირმინგემი 0:2; იფსვიჩი — ვესტ ბრომვიჩი 2:1; კეტერინგი — ლესტერი 1:4; ლუთონი — ნორთჰემპტონი 0:1; მენსფილდი — დერბი 2:3; მორეკემბი — ტრანმერი 1:2; მოზერუელი — ბრედფორდი 4:0; რეითი — რეინჯერსი 1:2; სკანთორპი — შეფილდი 0:2; ჰამბურგი — მანჩესტერ სიტი 1:0; დანდი იუნაიტედი — ბარსელონა 1:5; ჰაპოელი (ბეერ შევა) — ჰაარლემი 1:1; პსჟ — გენტი 2:1; კიოლნი — ბაიერნი 0:0; კარლსრუე — სტრასბური 0:1; ლე მანი — ლე ავრი 2:0; ოსი — როდა 0:1; ვირტონი — ლოკერენი 0:5; ბოხუმი — ვალენსია 0:1; ანდერლეხტი — პალერმო 1:1; სოშო — დიჟონი 1:1; სერკლ ბრიუგე — ვესტერლო 3:2; გრენობლი — ბასტია 2:0; რონსე — რუზელარე 4:3; შალკე — ბეშიქთაში 1:2; სტიაუა — რომა 3:1; აიაჩო — მარსელი 1:2; ლანსი — ოსერი 0:0; პორტუ — სელტიკი 0:1; სპორტინგი — ბლექბერნი 2:1; ინტერი — ბარი 2:0

27 ივლისი

დორტმუნდი — იუვენტუსი 1:3; ზვოლე — ებერდინი 2:1; ფორესტ გრინი — ბირმინგემი 0:1; უტრეხტი — ქანთი 2:3; დუისბურგი — ბრიუგე 1:0; ლინცერი — რეალი 2:3; ლორიანი — ბორდო 0:1; პალამოსი — სუონსი 0:1; პორტსმუთი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:2

ავსტრია

ბუნდესლიგა. IV ტური

ლინცერი — კერნტენი 3:2; აუსტრია — რიდი 3:1; მატერსბურგი — რაპიდი 0:1; კაპფენბერგი — ზალცბურგი 1:1. ალტახი — შტურმი ხვალ გაიმართება

ლინცერი	4	3	0	1	7:4	9
ზალცბურგი	4	2	2	0	12:3	8
აუსტრია	4	2	2	0	7:4	8
რაპიდი	4	2	1	1	5:5	7
შტურმი	2	2	0	0	6:1	6
რიდი	4	2	0	2	7:6	6
მატერსბურგი	4	1	0	3	2:11	3
კაპფენბერგი	4	0	2	2	4:6	2
კერნტენი	3	0	1	2	3:5	1
ალტახი	3	0	0	3	1:9	0

I დივიზიონი. III ტური

აუსტრია (ლ) — ზალცბურგი (მ) 1:2; აუსტრია (მ) — ლუსტენაუ 1:2; გრიოდიგი — ადმირა 2:1; ვიოკლაბრუკი — გრატკორნი 4:1; ნოიშტადტი — ლუშტენაუ 1:0; სენტ პოლტენი — ტიროლი 3:3

ირლანდია

პრემიერლიგა. XX ტური

ბოჰემიანსი — დუბლინი 2:0; გალვეი — დერი 0:4; შემროკი — სლიგო 1:0; კობი — ბრეი 1:2; კორკი — სენტ პატრიკსი 0:0. ფინ ჰარპსი — დროჰედა გადაიდო

შოტლანდია

ჩელენჯ ქაფი. I ეტაპი

ერდრი — დამბარტონი 3:2; ალოა — დანდი 2:1; არბროთი — ფორფარი 1:2; ბერვიკი — ქუინი 1:5; ბრეჩინი — ისტ ფაიფი 0:1; კლაიდი — ანანი 2:0; დანფერმლაინი — სტირლინგი 3:0; ელგინი — კოუდენბითი 0:2; ლივინგსტონი — სტრანრარი 4:0; პარტიკი — ქუინზ პარკი 2:1; პიტერჰედი — მონტროუზი 6:0; როსი — სენტ ჯონსტონი 2:1; სტენჰაუზმური — ალბიონი 0:1; ისტ სტირლინგი — ეარი 2:1

ხორვატია

I დივიზიონი. I ტური

ციბალია — სლავენი 0:0; კროაცია — ოსიეკი 1:1; ჰაიდუკი — ზადარი 1:0; ინტერი — შიბენიკი 2:3; ვარტექსი — ზაგრები 2:1; დინამო — რიეკა 2:0

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIV ტური

იარო — ტამპერე 1:4; ჰაკა — ვაასა 1:0; ჰიკ — მარიეჰამნი 4:0; მიუპა — ჰონკა 0:2; როვანიემი — ინტერი 0:0. ლაჰტი — კტპ დღეს გაიმართება, ტურკუ — კუოპიო კი ზეგ

ინტერი	14	7	7	0	21:8	28
ჰიკ	14	7	5	2	29:12	26
მიუპა	14	7	4	3	19:10	25
ჰონკა	14	7	3	4	21:9	24
ჰაკა	14	7	3	4	18:18	24
ლაჰტი	13	7	1	5	18:14	22
ტურკუ	13	6	2	5	22:16	20
როვანიემი	14	5	5	4	21:16	20
ვაასა	14	4	6	4	10:13	18
ტამპერე	14	4	5	5	21:20	17
იარო	14	3	4	7	13:26	13
მარიეჰამნი	14	3	3	8	12:24	12
კუოპიო	13	2	3	8	10:25	9
კტპ	13	0	3	10	7:31	3

გერმანია

III ლიგა. I ტური

ერფურტი — დინამო 0:1; რეგენსბურგი — კარლ ცაისი 2:2; უნტერჰახინგი — ვერდერი (მ) 3:0; აუე — ბრაუნშვაიგი 0:2; ბურგჰაუზენი — კიკერსი 2:0; ზანდჰაუზენი — აალენი 1:2; ემდენი — ვუპერტალი 1:0; შტუტგარტი (მ) — ოფენბახი 1:1; ბაიერნი (მ) — უნიონი 2:1; დიუსელდორფი — პადერბორნი 1:4

აშშ

მეიჯორ ლიგა. XVIII ტური

სან ხოსე — ნიუ იორკი 1:1. დალასი — ლოს ანჯელესი, კანზასი — ჩიკაგო და კოლორადო — კოლუმბუსი წუხელ გვიან დამთავრდა, სოლტ ლეიკი — ტორონტო დღეს გაიმართება

ბრაზილია

სერია A. XV ტური

ფლუმინენსე — კრუზეირო 1:3; იპატინგა — ინტერნასიონალი 1:0; ნაუტიკო — კურიტიბა 1:2; ატლ. პარანენსე — ფიგეირენსე 0:0; გოიასი — სპორტ რესიფე 1:2; გრემიო — პალმეირასი 1:1; სანტოსი — ვასკუ და გამა 5:2. ატლ. მინეირო — ვიტორია, ფლამენგო — ბოტაფოგო და სან პაულუ — პორტუგეზა წუხელ გვიან დამთავრდა

შვეიცარია

სუპერლიგა. III ტური

ლუცერნი — ქსამაქსი 0:1; ბაზელი — ბელინცონა 2:0; აარაუ — ციურიხი 2:1; იანგ ბოისი — ვადუცი 0:0. გრასჰოპერი — სიონი ზეგ გაიმართება

აარაუ	3	3	0	0	7:2	9
ბაზელი	3	3	0	0	5:1	9
ქსამაქსი	3	2	0	1	4:3	6
ციურიხი	3	2	0	1	4:3	6
ვადუცი	3	1	1	1	2:3	4
სიონი	2	1	0	1	3:4	3
იანგ ბოისი	3	0	1	2	2:4	1
გრასჰოპერი	1	0	0	1	0:1	0
ბელინცონა	2	0	0	2	1:4	0
ლუცერნი	3	0	0	3	1:4	0

ჩელენჯლიგა. I ტური

გოსაუ — ვილენი 2:0; შო დე ფონი — ლოზანა 0:2; ვინტერთური — ლოკარნო 2:0; ივერდონი — ნიონი 3:0; სენტ გალენი — კონკორდია 2:0; ბილ-ბიენი — შაფჰაუზენი 4:1; სერვეტი — ლუგანო 1:4. თუნი — ვილი დღეს გაიმართება

ნორვეგია

ტიპელიგა. XV ტური

ფრედრიკსტადი — ბრანი 1:0; ბოდიო გლიმტი — ლინი 2:1; ჰამ კამი — ლილესტრიომი 1:2; სტრიომსგოდსეტი — მიოლდე 4:0; ალესუნდი — ვიკინგი 1:2. ვოლერენგა — ტრომსიო დღეს გაიმართება, რუსენბორგი — სტაბეკი გადაიდო

ფრედრიკსტადი	15	9	2	4	25:18	29
სტაბეკი	14	8	4	2	26:11	28
ტრომსიო	13	7	3	3	17:9	24
ლინი	15	7	3	5	22:17	24
ბოდიო გლიმტი	15	6	4	5	17:21	22
რუსენბორგი	14	6	3	5	21:15	21
ვიკინგი	15	6	3	6	18:19	21
ბრანი	15	5	5	5	22:22	20
ვოლერენგა	14	6	2	6	19:19	20
სტრიომსგოდსეტი	15	5	4	6	19:20	19
მიოლდე	15	4	6	5	21:21	18
ლილესტრიომი	15	4	3	8	17:25	15
ალესუნდი	15	4	1	10	21:32	13
ჰამ კამი	14	2	3	9	10:26	9

I დივიზიონი. XV ტური

სოგნდალი — სტარტი 0:3; ალტა — სპარტა 1:0; ჰიონეფოსი — ჰოდი 5:1; მოსი — ჰაუგესუნდი 2:4; ტრისილი — ლოვ ჰამი 2:2; ნოტოდენი — კონგსვინგერი 4:2; სანდეფიორდი — ბრინი 1:0; სანდნესი — ოდ გრენლანდი 0:3

სლოვენია

I ლიგა. II ტური

კოპერი — ნოვა გორიცა 1:3; რუდარი — მარიბორი 1:2; დომჟალე — ნაფტა 2:2; პრიმორიე — ინტერბლოკი 1:1; დრავა პტუი — პუბლიკუმი 0:2

დანია

სუპერლიგა. II ტური

ბრონდბიუ — ოლბორგი 2:1; ესბიერგი — ვაილე 0:1; სიონდერისკე — მიდტიულანდი 1:1; რანდერსი — კოპენჰაგენი 1:1. ორჰუსი — ჰორსენსი დღეს გაიმართება, ოდენსე — ნორდსიელანდი გადაიდო

ბრონდბიუ	2	2	0	0	4:1	6
რანდერსი	2	1	1	0	4:2	4
მიდტიულანდი	2	1	1	0	3:2	4
კოპენჰაგენი	2	1	1	0	2:1	4
ოდენსე	1	1	0	0	3:1	3
ჰორსენსი	1	1	0	0	2:0	3
ვაილე	2	1	0	1	2:3	3
სიონდერისკე	2	0	1	1	1:3	1
ოლბორგი	2	0	0	2	2:4	0
ორჰუსი	1	0	0	1	1:3	0
ნორდსიელანდი	1	0	0	1	0:2	0
ესბიერგი	2	0	0	2	0:2	0

იაპონია

ჯეი ლიგა. XIX ტური

ტოკიო — იოკოჰამა 1:1; გამბა — ოიტა 0:1; ივატა — ვერდი 1:1; კაშივა — კიოტო 2:2; კავასაკი — ნაგოია 1:1; კობე — ჩიბა 0:1; ნიიგატა — საპორო 2:1; ომია — შიმიცუ 0:0; კაშიმა — ურავა 1:1

კიგანი ძიებაშია

პრემიერლიგის „ნიუკასლის" დამრიგებელი კევინ კიგანი კიდევ ორი-სამი ფეხბურთელით აპირებს გუნდის შევსებას.

„ვიმედოვნებ, რომ მომავალ ორსამ კვირაში გუნდში ახალი სახეები გამოჩნდებიან. ახლა ძიების პროცესში ვიმყოფებით. განსაკუთრებული ვაკუუმი დაცვის ფლანგებზე შეინიშნება და მის შევსებას ვაპირებთ" — განაცხადა ინგლისელმა სპეციალისტმა.

შიმბონდა გაფორმდა

ინგლისურმა „სანდერლენდმა" ოფიციალურად გაიფორმა პასკალ შიმბონდა. კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით, ფრანგი თავის ახალ კლუბში 2012 წლამდე დარჩება. 28 წლის შიმბონდამ გასულ სეზონში პრემიერლიგაში 32 მატჩი ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა. რაც შეეხება ტრანსფერის ფასს, პასკალი „შავ კატებს" სრულიად უფასოდ ერგო.

კრსტაიჩი ტრავმირებულია

წარმუმატებელი აღმოჩნდა „შალკეს" მცველ მლადენ კრსტაიჩისთვის ამხანაგური შეხვედრა თურქულ „ბეშიქთაშთან". სერბს მარცხენა თეძო დაუშავდა, რის გამოც შესვენების შემდეგ შეცვალეს.

„მატჩისთვის ვემზადებოდი, გუნდში ბრწყინვალე ატმოსფერო სუფევს, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმა მივიღე და რამდენიმე კვირის გაცდენა მომიწევს" — აღნიშნა ხორვატმა.

გელზენკირხენის „შალკემ" ეს შეხვედრა 1:2 დათმო.

არჩილ ძოზახიძე

მექსიკა

აპერტურა. I ტური

კრუზ ასული — გვადალახარა 2:2; სან ლუისი — მორელია 2:2; ინდიოსი — ტეკოსი 0:1; ტიგრესი — პაჩუკა 0:0; ატლასი — ხაგუარესი 5:0; ატლანტე — ტოლუკა 2:1; პუებლა — მონტერეი 2:2. უნამი — ნეკაქსა 2:0. ამერიკა — სანტოსი წუხელ გვიან დამთავრდა

სლოვაკეთი

I ლიგა. II ტური

დუნაისკა სტრედა — ტრნავა 3:0; არტმედია — ჟილინა 0:2; ბანსკა ბისტრიცა — კოშიცე 0:1; ტატრანი — რუჟომბეროკი 3:2; მორავცე — ნიტრა 1:1; დუბნიცა — სლოვანი 1:3

ჩილე

კლაუსურა. VI ტური

ევერტონი — ლა სერენა 5:5; უნიონ ესპანიოლა — კობრესალი 1:1; უნივ. კონსეპსიონი — ოსორნო 4:1; ო ჰიგინსი — სანტიაგო მორნინგი 4:1; უნივ. დე ჩილე — მელიპილია 4:1; ატლეტიკო — კოლო კოლო 1:2. რეინჯერსი — პალესტინო, კობრელოა — ანტოფაგასტა და აუდაქს იტალიანო — უაჩიპატო წუხელ გვიან დამთავრდა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
[illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი [illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული,
[illegible], გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტოკორესპონდენტები: [illegible]
სტილისტები: [illegible]
კომპიუტერული ცენტრი: [illegible]
[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00